

N	ასოციირების შესახებ შეთანხმების ან ასოციირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2020 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში						
საქონლით ვაჭრობა						
1.	ასოციირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: ვაჭრობის სტატისტიკის სფეროს შემდგომი გაუმჯობესება	საქონლით საგარეო ვაჭრობის მონაცემების დამუშავება საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის მიხედვით (5 ნიშნა დონეზე) საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის ახალი ვერსიის (SITC Rev.4) მიხედვით	საქონლით საგარეო ვაჭრობის მონაცემები ხელმისაწვდომია საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის მიხედვით (5 ნიშნა დონეზე) საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის ახალი ვერსიის (SITC Rev.4) შესაბამისად	საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემები სასაქონლო ჭრილში საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის ახალი ვერსიის (SITC Rev.4) შესაბამისად	სსიპ სტატისტიკის ეროვნული სამსახური	განხორციელდა საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკატორის (SITC) თარგმნა და მომზადდა შესაბამისი კორელაციური ცხრილები. საქსტატის ვებ-გვერდზე მონაცემები გამოქვეყნდა 2020 წლის დეკემბერში. ექსპორტი SITC სასაქონლო პოზიციების მიხედვით: https://geostat.ge/media/35846/Eqsporti-SITC-5-nishna_2009-2020.xlsx იმპორტი SITC სასაქონლო პოზიციების მიხედვით: https://geostat.ge/media/35872/Importi-SITC-5-nishna_2000-2020.xlsx
2.	ასოციირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: საექსპორტო სტრუქტურის დივერსიფიკაციის გაზრდა, მათ შორის ევროკავშირის	ევროპის მეწარმეთა ქსელში (EEN) მეწარმეთა მონაწილეობის ხელშეწყობა	EEN-ის პლატფორმაზე დარეგისტრირებულ ი ქართული კომპანიების გაზრდილი რაოდენობა	ქართული კომპანიების რაოდენობა, რომელთაც კონსულტაციები გაეწიათ EEN-ის პლატფორმაზე დასარეგისტრირებელად	სსიპ „აწარმოე საქართველოში“; სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო	2020 წლის მონაცემებით EEN-ის პლატფორმასთან დაკავშირებით სააგენტოს მხრიდან კონსულტაცია გაეწია 10-ზე მეტ დაინტერესებულ პირს.
3.	ბაზარზე ახალი პროდუქტების ექსპორტის მხრივ	ევროკავშირის ქვეყნებში სავაჭრო გამოფენებში და მისიებში ექსპორტიორების მონაწილეობის ხელშეწყობა	ევროკავშირის ქვეყნებში სავაჭრო გამოფენებში და სავაჭრო მისიებში მონაწილე ექსპორტიორი კომპანიების გაზრდილი რაოდენობა	ევროკავშირის ქვეყნებში სავაჭრო გამოფენებში და სავაჭრო მისიებში მონაწილე ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობა	სსიპ „აწარმოე საქართველოში“	2020 წლის მონაცემებით ევროკავშირის ტერიტორიაზე ჩატარდა 9 ღონისძიება, სადაც სულ მონაწილეობა მიიღო 43-მა ქართულმა კომპანიამ: - პარიზის მოდის კვირეულზე 3 ქართული კომპანია იღებდა მონაწილეობას; - იტალიის ქალაქ ფლორენციაში გამართულ ღონისძიებაზე Pitti Immagine Bimbo 2-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა; - პარიზში გამართულ ღონისძიებაზე Playtime Paris 4 ქართული კომპანია დაფიქსირდა; - გერმანიის ქალაქ ნიურმბერგში გამართულ ღონისძიებაზე Biofach 2020 5 ქართული კომპანია მონაწილეობდა;

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>- იტალიის ქალაქ მილანში გამართულ ღონისძიებაზე MICAM 3-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა;</p> <p>- პარიზის მოდის კვირეულში WF2020 კი 17 ქართული კომპანია იღებდა მონაწილეობას.</p> <p>- პარიზის მოდის კვირეულში SS21 3-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, ლონდონის მოდის კვირეულში კი ერთმა;</p> <p>- იტალიის ქალაქ ფლორენციაში გამართულ ღონისძიებაზე Pitti Immagine Bimbo (online) 1-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა;</p> <p>- პარიზში გამართულ ღონისძიებაზე Playtime Paris (online) 4 ქართული კომპანია დაფიქსირდა.</p> <p>ევროკავშირის ტერიტორიის გარეთ, სააგენტოს მხარდაჭერით არაბთა გაერთიანებული საამიროების ქალაქ დუბაიში გამართულ ღონისძიებაზე GulFood 2020 მონაწილეობა მიიღო 14-მა ქართულმა კომპანიამ. ხოლო ჩინეთში, ქალაქ შანხაიში გამართულ ღონისძიებაზე SHANGHAI FASHION WEEK SS21 4-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა.</p> <p>მიმდინარე პერიოდში, ევროკავშირის ტერიტორიის გარეთ ჩატარდა 4 ონლაინ შოურუმი, რომელსაც დაესწრო 4 ქართული კომპანია.</p> <p>სულ 2020 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 65 თანადაფინანსების ფაქტი და 47 უნიკალური ბენეფიციარი.</p>
4.		მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და/ან ტექნიკური მხარდაჭერის კუთხით	შექმნილი ან/და გაფართოებული საწარმოების გაზრდილი რაოდენობა	შექმნილი ან/და გაფართოებული საწარმოების რაოდენობა	სსიპ „აწარმოე საქართველოში“	2020 წელს სსიპ „აწარმოე საქართველოში“, სესხის და ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსებით დაეხმარა, 156 ბიზნეს პროექტს (123 საწარმო, 32 სასტუმრო და 1 ტურისტული სერვისები) აღნიშნული პროექტების ჯამურმა საინვესტიციო ღირებულებამ 359.2 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების მოცულობა 211.4

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						მლნ ლარს აღემატება. პროექტების ფარგლებში შეიქმნება 6100-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი.
ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება						
5.	<p>ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:</p> <p>იმ კანონმდებლობის შემუშავება, რომლის განხორციელების ვალდებულებაც საქართველომ აიღო ასოცირების შესახებ შეთანხმებით, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების (TBT) სტრატეგიის შესაბამისად</p>	<p>ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი III-A შესაბამისად ტექნიკური რეგლამენტების მიღება და უკვე დაახლოებული კანონმდებლობის გადახედვა III-A დანართში მითითებულ შეცვლილ და განახლებულ დირექტივებთან და რეგულაციებთან თავსებადობის შემოწმების ან მათთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით</p>	<p>საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან</p>	<p>მიღებული ნორმატიული აქტი</p> <p>საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები</p>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>მომზადებულია მთავრობის დადგენილების პროექტები „ტექნიკური რეგლამენტი სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებადი მასალების შესახებ“, და „ტექნიკური რეგლამენტი რადიოაპარატურის შესახებ“, რომელიც საფუძვლიანად გადამუშავდა ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ჩართულობით, მხედველობაში იქნა მიღებული სხვადასხვა უწყებებიდან მიღებული შენიშვნები.</p> <p>აღნიშნული დირექტივების ჰარმონიზებული სტანდარტები სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა საქართველოს სტანდარტად.</p>
6.		<p>ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი III-A შესაბამისად სამედიცინო მოწყობილობებისა და ინვიტრო სამედიცინო დიაგნოსტიკური მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტების მომზადებისა და მიღებისთვის (ევროკავშირის რეგულაციები 2017/745, 2017/746) შესაბამისი</p>	<p>სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების მიმართულებით ასოცირების ფარგლებში გათვალისწინებული ზედამხედველობის სისტემის ჩამოყალიბება</p>	<p>სამართლებრივი ჩარჩოს მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი შექმნილია</p>	<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>არსებული სიტუციის ანალიზის მიზნით აკრედიტაციის ცენტრში მიმდინარე ტვინინგის პროექტით გათვალისწინებულია აღნიშნულ დირექტივებზე ტვინინგის ჩატარება და მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები.</p> <p>იგეგმება სამუშაო ჯგუფის შექმნა და პირველი შეხვედრის მოწყობა.</p> <p>აღნიშნული რეგლამენტების ჰარმონიზებული სტანდარტების ნაწილი მიღებულ იქნა 2020 განმავლობაში, პროცესი გაგრძელდება 2021 წ.</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
		სამართლებრივი ჩარჩოს მომზადების მიზნით, სამუშაო ჯგუფის შექმნა				
7.		საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების საქართველოს სტანდარტებად მიღება, განსაკუთრებით ასოცირების შესახებ შეთანხმების III-A დანართში (TBT) მითითებული სექტორულ დირექტივებთან ჰარმონიზებული სტანდარტების	საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო/ ევროპული სტანდარტების რაოდენობა	სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2020 წლის მდგომარეობით სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო მიერ საქართველოს სტანდარტად (სსტ) სულ დარეგისტრირდა 2 761 სტანდარტი, მათ შორის: ➤ სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 272; ➤ სსტ იეკ (საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია) -271; სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) – 2 218.
8.		მეტროლოგიის სფეროში დირექტივებთან MID (დირექტივა გაზომვის საშუალებების შესახებ) და NAWI (დირექტივა არა ავტომატური ასაწონი საშუალებების შესახებ) კანონმდებლობის დაახლოების პროცესისათვის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება	აღნიშნულ დირექტივასთან/ებთან ჰარმონიზებული სტანდარტის/ების საქართველოს სტანდარტად მიღება	საქართველოს სტანდარტად მიღებული MID და/ან NAWI დირექტივასთან ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტი/ები, პრიორიტეტული სტანდარტი/ები თარგმნილია ქართულ ენაზე	სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	აღნიშნულ დირექტივებთან დაახლოების პროცესის ხელშეწყობის აქტივობები გათვალისწინებულ იქნა დაგეგმილ ტვინინგ პროექტში, რომლის დაწყება დაგეგმილია 2021 წლის აპრილში. შიდა პროცედურის პროექტის შემუშავების მიზნით პრიორიტეტული გაზომვის საშუალების შერჩევის პროცესის განხორციელება დაგეგმილია აღნიშნული ტვინინგ პროექტის ფარგლებში.
9.		ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვა სტანდარტების დეპარტამენტში ISO 9001:2015 შესაბამისად	სააგენტოს შიდა პროცესების ეფექტურობის გაზრდა და დაინტერესებული პირებისათვის გაწეული მომსახურების	ევროპელი ექსპერტების მიერ მომზადებული რეკომენდაციები ხარისხის მენეჯმენტის სისტემაზე	სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო;	საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოში მოწვეული ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში შემუშავდა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვისათვის ცალკეული დოკუმენტები.

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
			გაზრდილი ხარისხი და ეფექტურობა		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	აღნიშნული სტანდარტის სრულად დანერგვის პროცესის დასრულება დაგეგმილია მომავალი Twinning პროექტის ფარგლებში.
10.	<p>ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: ტექნიკური რეგულირების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასებისა და ბაზრის ზედამხედველობის ადმინისტრირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება</p>	<p>პრიორიტეტული მიმართულებებით ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლების პროცესის გაგრძელება გაუმჯობესებული სერვისების მიწოდების მიზნით</p>	<p>დაინტერესებული მეწარმეებისათვის მეტროლოგიური სერვისების გაზრდილ რაოდენობაზე ხელმისაწვდომობა</p>	<p>შეთავაზებული სერვისების გაზრდილი რაოდენობა და დიაპაზონი (გაზომვის 2 მიმართულებით ეტალონური ლაბორატორიებისათვის ხელსაწყოების შეძენა)</p>	<p>სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო;</p> <p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>2020 წ. განმავლობაში შეძენილ იქნა შემდეგი ხელსაწყოები: გეომეტრიული გაზომვების ეტალონური განყოფილებისათვის - თეოდოლიტი და მინის სკალა; რადიაციული გაზომვების ეტალონური განყოფილებისათვის α და β გამოსხივების განმსაზღვრელი ხელსაწყო, ასევე რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის განყოფილებისათვის - ელექტრომაგნიტური ველების მზომი ხელსაწყო, ელექტროგაზომვების განყოფილებისათვის - ნულ დეტექტორები; მექანიკის განყოფილებისათვის - დინამომეტრული ქანჩასაღებების საკალიბრებელი მოწყობილობა. დასრულებულია გეომეტრიული გაზომვების ეტალონური განყოფილებისათვის სიგრძის სახელმწიფო ეროვნული ეტალონების ნაკრებისათვის 3 ნომინალის კიდურა საზომების შეძენის პროცედურები.</p> <p>გერმანული რეგიონალური პროექტის ფარგლებში COVID 19 პანდემიასთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაფარავად ე.წ. უკონტაქტო ინფრაწითელი თერმომეტრების დაკალიბრების სფეროში დაიგეგმა და მიმდინარეობს შესაბამისი ეტალონური აღჭურვილობის შეძენის და გამოგზავნის პროცედურები გერმანული მხარის მიერ. ამავე პროექტის ფარგლებში ასევე მიმდინარეობს სიმკვრის გაზომვის მიმართულების განვითარება და შესაბამისი ეტალონური აღჭურვილობის შეძენა.</p> <p>გერმანული მხარის მიერ დასრულდა აპარატურის შესყიდვის პროცედურები ორივე მიმართულებით, თუმცა მათი ინფორმაციით COVID19-ით გამოწვეული სიტუაციისა და</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
11.		მეტროლოგიის სფეროში პრიორიტეტული ეტალონური ლაბორატორიების საერთაშორისო აღიარების შენარჩუნების და/ან მიღწევისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება	საწარმოებისათვის, ლაბორატორიებისათვის, ყველა დაინტერესებული პირისთვის მეტროლოგიურ სერვისებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა	ქვეყნის დაკალიბრებისა და გაზომვისა შესაძლებლობების CMC ჩანაწერების რაოდენობის ეტაპობრივი ზრდა საერთაშორისოდ აღიარებულ მიმართულებებში	სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	შეზღუდვების გამო სააგენტოსათვის ხელსაწყოების მოწოდების პროცესი დაგეგმილზე მეტ ხანს გაგრძელდება. 2020 წლის განმავლობაში მეტროლოგიის სფეროში საერთაშორისო დონეზე აღიარებულ გაზომვის მიმართულებებში სააგენტოს მეტროლოგიის ინტიტუტის 2 ახალი სერვისი - დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობები CMC ჩანაწერი გამოქვეყნდა, მცირე მოცულობის სფეროში. სულ 2020 წლის მდგომარეობით სააგენტოს აღიარებული ჩანაწერების რაოდენობა შეადგენს 61 CMC ჩანაწერს. საერთაშორისო აღიარების შენარჩუნების, ასევე გაზომვათა მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტოს ეტალონები და გაზომვის საშუალებები დაკალიბრდა შემდეგი ქვეყნების მეტროლოგიის ეროვნულ ინსტიტუტებში: PTB გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტი, უკრმეტრტესტსტანდარტი (უკრაინა), CMI ჩეხეთი, BelGIM ბელორუსი, NPL დიდი ბრიტანეთი
12.		მეტროლოგიის სფეროში ახალი მიმართულებით სტანდარტული ნიმუშების - ISO 17034:2016 შესაბამისად სერვისების შეთავაზებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება	საწარმოებისათვის, ლაბორატორიებისათვის, ყველა დაინტერესებული პირისთვის მეტროლოგიის სფეროში ახალი სერვისების მომზადება	საერთაშორისო სტანდარტის ISO 17034:2016 შესაბამისი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვისათვის საჭირო დოკუმენტებისა და პროცედურების მომზადება	სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სააგენტოს ფიზ-ქიმიური ეტალონური განყოფილების წარმომადგენლები საერთაშორისო სტანდარტის ISO 17034 : 2016 დანერგვისა და სერტიფიცირებული სტანდარტული ნიმუშების წარმოების საკითხების შესწავლის მიზნით ა.წ. 01-06 მარტს იმყოფებოდნენ სასწავლო ვიზიტით გერმანიაში, ქ. ვოლფენში, გაზომვების და დაკალიბრების ცენტრ ZMK-ში. აღნიშნული სასწავლო ვიზიტი განხორციელდა გერმანიის რეგიონალური პროექტის "Strengthening the Quality Infrastructure in the Countries of the Southern Caucasus" ფარგლებში. განხილულ იქნა pH-მეტრიის, კონდუქტომეტრიის და დენსიმეტრიის (სიმკვრივის გაზომვების) სტანდარტული ნიმუშების წარმოების და სერტიფიცირების საჭირო პროცედურული და ტექნიკური აღჭურვილობის საკითხები.

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						პროექტის ფარგლებში ასევე დაიგეგმა სიმკვრის გაზომვის მიმართულების განვითარება სააგენტოს ფიზ-ქიმიური ეტალონურ განყოფილებაში.
13.		საერთაშორისო აღიარების შენარჩუნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სტანდარტის ISO/IEC 17025:2017 ახალი ვერსიის დანერგვა მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონურ ლაბორატორიებში	სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ISO/IEC 17025:2017 ახალი ვერსიის შესაბამისად აღიარებულია საერთაშორისო დონეზე	სტანდარტის ISO/IEC 17025:2017 ახალი ვერსიის დანერგვისათვის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტაციის გადახედვის პროცესის დასრულება	სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2020 წლის 25-27 თებერვალს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის ხარისხის ტექნიკური კომიტეტის TC 3.1 და ხარისხის ფორუმის სხდომებში, რომლებზეც COOMET-ის წევრი ქვეყნების მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების (NMI/DI) მიერ წარმოდგენილი იქნა პრეზენტაციები საერთაშორისო სტანდარტზე ISO/IEC 17025:2017 გადასვლის დასადასტურებლად. აღნიშნული ღონისძიებები ჩატარდა გერმანიაში, ქ. ბერლინში გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტში PTB. დარჩენილ ინსტიტუტების, მათ შორის GEOSTM-ის მიერ მსგავსი პრეზენტაციის გაკეთება სტანდარტის ISO/IEC 17025:2017 ახალ ვერსიაზე გადასვლის დადასტურების მიზნით დაგეგმილია 2021 წლის პირველ კვარტალში, როდესაც შედგება მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის ხარისხის ფორუმის ტექნიკური კომიტეტის სხდომა.
14.	ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ეკონომიკური ოპერატორების, მომზადებისა და ადაპტაციის ხელშეწყობა, დაახლოებული კანონმდებლობის დანერგვისთვის	დაინტერესებული მხარეებისათვის, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის შეხვედრების/სემინარების ორგანიზება	დაინტერესებული მხარეებისა და სამოქალაქო საზოგადოების გაზრდილი ცნობიერება სტანდარტებისა და მეტროლოგიის სფეროში	ჩატარებული შეხვედრების/ სემინარების რაოდენობა	სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მიმდინარე წლის 10 და 26 თებერვალს შედგა სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის "შეწინებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები" (ტკ 5) წევრების სამუშაო შეხვედრა. COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე კომიტეტების შეხვედრები გაიმართა ონლაინ ფორმატში. Covid19 პანდემიით შექმნილი გამოწვევების დაძლევაში ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერისათვის სააგენტოსა და ლატვიის სტანდარტების ორგანოს (LVS) მიერ, კორპორაცია ტილდესთან (Tilde) ერთად შემუშავდა პროექტი „სტანდარტიზაცია, როგორც დამხმარე საშუალება საქართველოში COVID-19 პანდემიით გამოწვეული საგანგებო

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						სიტუაციაზე სწრაფი რეაგირებისათვის”. პროექტი მიზნად ისახავს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებზე არსებულ საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებზე დაყრდნობით ადგილობრივი ბიზნესის უწყვეტობისა და მდგრადობის ხელშეწყობას. პროექტი დაფინანსდა ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიერ.
15.	ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: კადრების შემდგომი ტრენინგი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისა და სააგენტოების მართვისთვის;	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	სააგენტოს თანამშრომლების ამაღლებული კვალიფიკაცია	<p>GEOSTM-ის თანამშრომლებისათვის ჩატარებული სემინარების/ ტრენინგების რაოდენობა</p> <p>სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის და მეტროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს სტაჟირება/სწავლება ევროკავშირის წევრი ქვეყნის შესაბამის ორგანიზაციაში</p>	<p>სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო;</p> <p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<ul style="list-style-type: none"> 2020 წლის 25 - 27 მაისს ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს BIPM შესაძლებლობების გაძლიერებისა და ცოდნის გადაცემის CB&KT პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ ტრენინგ კურსი BIPM-ის მონაცემთა ბაზების KCDB 2.0 ახალ ვერსიაზე გადასვლისა და გამოყენების შესახებ, ინგლისურ ენაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის 7 ექსპერტმა ეტალონური განყოფილებებიდან. 2020 წლის 9 ივნისს ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს BIPM ორგანიზებით მონაცემთა ბაზის KCDB 2.0 ტექნიკური მოდერნიზაციიდან გამომდინარე ჩატარდა ონლაინ ტრენინგ-კურსი CMC ჩანაწერების შექმნის თაობაზე ინგლისურ ენაზე, რომელშიც ასევე მიიღეს მონაწილეობა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების წარმომადგენლებმა. სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტისა და სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ონლაინ კონფერენციებსა და სემინარებში, ასევე შესაბამისი ტექნიკური კომიტეტების შეხვედრებში. სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის საერთაშორისო და

N	ასოციირების შესახებ შეთანხმების ან ასოციირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ევროპული ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ონლაინ კონფერენციებსა და სემინარებში. მიმდინარე წლის 22 ივნისს გაიმართა ონლაინ შეხვედრა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ისო) ცენტრალური ოფისის წარმომადგენლებთან ახალი კორონა ვირუსის (covid 19) შედეგად სტანდარტიზაციის სფეროში არსებული გამოწვევებსა და დაძლევის გზებზე. ისო-ს წარმომადგენლებს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოში არსებული მდგომარეობისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ.</p> <ul style="list-style-type: none"> • 2020 წლის 2 ივლისს, სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ISO/UNIDO მიერ ორგანიზებულ ვებინარში თემაზე „COVID-19, Cybersecurity and Information Security Management (ISO/IEC 27001)“. • 2020 წლის 24 სექტემბერს სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ ორგანიზაციის წევრებისათვის გამართულ “ვირტუალურ სესიაში“. • 2020 წლის 16 ნოემბერს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ISO/WTO მიერ ორგანიზებულ ტრეინინგში „Benefitting from the transparency framework of the WTO/TBT Agreement: the role of the NSB when holding the TBT enquiry point“. • 2020 წლის 26 ნოემბერს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის ა მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღეს ISO/UNIDO მიერ ორგანიზებულ ვებინარში თემაზე „Managing Risk & Building Resilience“. • 2020 წლის 9 დეკემბერს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ISO/UNIDO მიერ

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ორგანიზებულ ვებინარში თემაზე „business continuity management systems.“</p> <ul style="list-style-type: none"> • 2020 წლის 10 დეკემბერს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო UNIDO მიერ ორგანიზებულ ვებინარში თემაზე „Ensuring Industrial Safety and Security in times of COVID-19 and beyond: Safety challenges“. • 2020 წლის 11 დეკემბერს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ვებინარში თემაზე „Advancing the UN Sustainable Development Goals in a COVID-19 world“. • COVID-19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა 2020 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს მეტროლოგიის საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების (BIPM, COOMET, JCRB, OIML) სხვადასხვა ტექნიკური კომიტეტების ონლაინ სხდომებში, გენერალური ასამბლეაში, საპრეზიდენტო საბჭოს შეხვედრებში, ხარისხის ტექნიკური კომიტეტების და ფორუმების შეხვედრებში, ასევე სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში, სემინარებსა და ტრენინგებში.
16.		<p>სახელმწიფო ლაბორატორიების პერსონალის ტრენინგი: ნიმუშის აღება ადამიანისა და ცხოველების საკვებში მიკრობიოლოგიური გამოცდისათვის; ადამიანის საკვებსა და ცხოველის საკვებში კონტამინანტების მოცულობის დასადგენად; საკვებსა და ცხოველის</p>	<p>სახელმწიფო ლაბორატორიებში ნიმუშის აღების უნიფიცირება მსგავს პროდუქტებზე, ლაბორატორიული გამოცდების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა</p>	<p>სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი;</p> <p>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.</p>	<p>„ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტის მეორე ფაზის ფარგლებში ღონისძიებების განხორციელება დაგეგმილი იყო 2020 წლის აგვისტოს თვეში, თუმცა მსოფლიოში გავრცელებული პანდემიიდან გამომდინარე დაწესებულმა შეზღუდვებმა შეუძლებელი გახადა გეგმის მიხედვით აქტივობის შესრულება.</p> <p>ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესაბამისი ექსპერტის შერჩევა. ღონისძიება განხორციელდება 2021 წელს.</p>

N	ასოციირების შესახებ შეთანხმების ან ასოციირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
		საკვებში GMO-ს დასადგენად; ასევე, საკვებში და ცხოველების საკვებში პესტიციდებისა და მძიმე მეტალების დასადგენად; ნავთობსა და ნავთობპროდუქტები დან ნიმუშის აღების პროცედურებში.				
17.	<p>ასოციირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:</p> <p>ბაზრის ზედამხედველობის სფეროში, საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების და ბარის ზედამხედველობის ორგანოების ადმინისტრაციული უნარების გაძლიერება</p>	<p>სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს თანამშრომლების ტრენინგი მანქანა-დანადგარების შესახებ (2006/42/EC); აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ (2016/426/EU); სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებადი ნივთიერებების (2008/43/EC); ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობების შესახებ (2016/425); სათამაშოების უსაფრთხოების (2009/48/EC) და პოტენციურად ფეთქებად გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და დამცავი სისტემების შესახებ (2014/34/EU) ევროკავშირის</p>	<p>სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს თანამშრომლების კვალიფიკაცია ამაღლებულია</p>	<p>ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა</p>	<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;</p> <p>სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო</p>	<p>სააგენტოს თანამშრომლების ტრენინგები ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობების შესახებ (2016/425), სათამაშოების უსაფრთხოების (2009/48/EC), პოტენციურად ფეთქებად გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და დამცავი სისტემების (2014/34/EU), მანქანა-დანადგარებისა (2006/42/EC) და აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ (2016/426/EU) ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით ჩატარდა 2020 წლის ოქტომბერში, რომლებსაც დაესწრო სააგენტოს 10 თანამშრომელი.</p> <p>რაც შეეხება სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებად ნივთიერებებს (2008/43/EC), განხორციელდა აღნიშნული დირექტივის დანერგვისათვის აუცილებელი საჭიროებების იდენტიფიკაცია და ტრენინგის ნაცვლად, სააგენტოს თანამშრომლებმა ყველა საჭირო ინფორმაცია მიიღეს წერილობითი ფორმით როგორც ექსპერტთან, ასევე ევროკომისიასთან კომუნიკაციის შედეგად. მოწოდებული ინფორმაციის შედეგად გამოიკვეთა, რომ სააგენტო არ წარმოადგენს დირექტივით გათვალისწინებული ფუნქციების განმახორციელებელ შესაბამის ორგანოს. შესაბამისად, სააგენტოსათვის ტრენინგის ჩატარების საჭიროება აღარ არსებობს.</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
		სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით				
18.	<p>ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:</p> <p>იმ კანონმდებლობის შემუშავება, რომლის განხორციელების ვალდებულებაც საქართველომ აიღო ასოცირების შესახებ შეთანხმებით, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების (TBT) სტრატეგიის შესაბამისად</p>	<p>ILAC - ის მრავალმხრივი შეთანხმების (MLA) ხელმომწერის ვალდებულებების შესასრულებლად შესაბამისი გეგმის მომზადება</p>	<p>აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობა სრულად შესაბამისობაშია ILAC -ის MLA-ს მოთხოვნებთან</p>	<p>ILAC - ის მრავალმხრივი შეთანხმების ხელმომწერის (MLA) ვალდებულებების შესასრულებლად მომზადებული შესაბამისი გეგმა</p>	<p>სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი;</p> <p>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>ILAC-ში სტრუქტურული ცვლილებების გათვალისწინებით, Twinning-ის პროექტში გათვალისწინებულ იქნა აქტივობა, რომლის ფარგლებშიც მზადდება ILAC-თან მრავალმხრივი შეთანხმების ხელმომწერის სტატუსის ქონის შემთხვევაში აკრედიტაციის ცენტრის ვალდებულებების ანალიზი, რომელიც ასევე მოიცავს შესაბამის გეგმას. დოკუმენტის პირველი ვერსია მომზადდა 2020 წლის სექტემბრის ბოლოსთვის და შესაბამისი კომენტარებისათვის გაგზავნილ იქნა აკრედიტაციის ცენტრში მიმდინარე ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Twinning-ის პროექტის ექსპერტებთან. მომზადდა განაცხადი ILAC-ის ასოცირებული წევრობის სტატუსის მოსაპოვებლად და აღნიშნულ განაცხადზე დანართის სახით წარსადგენი დოკუმენტაციის პაკეტი. ILAC-ის სამდივნოში ასოცირებული წევრობის მიღებაზე განაცხადი გაიგზავნა 2020 წლის 14 დეკემბერს. აღნიშნული სტატუსის მოპოვების შემდგომ, აკრედიტაციის ცენტრი უფლებამოსილი იქნება გააგზავნოს შესაბამისი განაცხადი ILAC - ის მრავალმხრივი შეთანხმების ხელმომწერის სტატუსის მოსაპოვებლად.</p>
19.		<p>„ტვინინგის“ პროექტით „საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის გაძლიერება ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისად“ გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება</p>	<p>აკრედიტაციის ცენტრი ფუნქციონირებს ევროპული რეგულაციების შესაბამისად</p>	<p>შესრულებულია „ტვინინგის“ გეგმით გათვალისწინებული აქტივობები 2020 წლისთვის</p>	<p>სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი;</p> <p>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>ტვინინგის პროექტის ფარგლებში გაიმართა მმართველი კომიტეტის ოთხი შეხვედრა, რომელსაც დაესწრო პროექტის იმპლემენტაციაში ჩართული ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელი. კომიტეტებზე განხილულ იქნა პროექტის ბიუჯეტი, მოხდა კომუნიკაციისა და ცნობადობის გეგმის დამტკიცება და მიღებულ იქნა პროექტის განხორციელების სამოქმედო გეგმა. პანდემიის გამო პროექტის სრულფასოვნად განხორციელება ვერ მოხერხდა თავდაპირველად შემუშავებული გეგმის შესაბამისად, მმართველ კომიტეტზე</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>განხილული იქნა პროექტის გაგრძელების საკითხი და დაიგეგმა ამ მიმართულებით გასატარებელი შემდგომი ნაბიჯები.</p> <p>2020 წლის მონაცემებით, პროექტის ფარგლებში უკვე გაიმართა 32 ღონისძიება, მათ შორის ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები. ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო ჯამში 171 - მა ადამიანმა სხვადასხვა უწყებებიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთკვირიანი ტრენინგი, შრომის ადგილებზე უსაფრთხოების შესახებ, ისო 45001:2018, რომელსაც დაესწრო შრომის ინსპექციის 7 თანამშრომელი.</p>
20.		<p>აკრედიტაციის ცენტრის აკრედიტაციის საერთაშორისო ფორუმის (IAF) წევრობისათვის მიზანშეწონილობის ანალიზის მომზადება</p>	<p>აკრედიტაციის ცენტრის IAF-ში წევრობის შესახებ სრული ინფორმაციის ქონა, გადაწყვეტილების მისაღებად</p>	<p>მომზადებულია მიზანშეწონილობის ანალიზი</p>	<p>სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი;</p> <p>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>	<p>მომზადდა მიზანშეწონილობის ანალიზის საბოლოო ვერსია ქართულ და ინგლისურ ენაზე.</p> <p>2020 წლის 15 დეკემბერს IAF-ის სამდივნოში გაიგზავნა წევრობის მემორანდუმზე ხელმოწერის მოთხოვნა.</p>
21.		<p>აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებს შორის სინერჯის გაზრდის პროექტის განხორციელება</p>	<p>აკრედიტაციის ცენტრის გაზრდილი თანამშრომლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან.</p>	<p>პროექტის შუალედური ანგარიში დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების შესახებ</p>	<p>სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი</p>	<p>წლის განმავლობაში ჩატარდა ტრენინგები ISO 17021-2:2016 და ISO 14001 სტანდარტებზე. რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აკრედიტაციის ცენტრის წამყვანმა შემფასებლებმა.</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
22.		ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისად, ნოტიფიცირებული შესაბამისობის შემფასებელი პირების განსაზღვრის მიზნით, განსახორციელებელი საქმიანობის ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება	საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა, საქართველოში CE მარკირების მინიჭების უფლებამოსილების მქონე აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი პირების განსაზღვრის გზით	მომზადებული კვლევა და შემუშავებული რეკომენდაციები	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ევროპელი ექსპერტის მიერ მომზადდა შესაბამისი ანგარიში, შესაბამისი რეკომენდაციების მითითებით. ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისად ნოტიფიცირებული პირების საქმიანობასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში გაიმართა ტრენინგები, რომელთა ფარგლებშიც შესწავლილ იქნა იტალიის გამოცდილება ნოტიფიცირებული ორგანიზაციების კუთხით. მომდევნო ეტაპზე დაგეგმილია გერმანიის შესაბამისი გამოცდილების თაობაზე ტრენინგების ორგანიზება ტვინინგის პროექტის ფარგლებში.
სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები						
23.	ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: მხარეები ითანამშრომლებენ საქართველოს სურსათის და ცხოველის საკვების, მცენარეთა ჯანმრთელობისა და ასევე, ცხოველთა ჯანმრთელობის სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების, კეთილდღეობის კანონმდებლობის და პრაქტიკის ევროკავშირთან დაახლოებისთვის მოსამზადებლად, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისი დანართების მიხედვით	საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის ნორმატიულ აქტებთან ასოცირების შესახებ შეთანხმების XI-B დანართის შესაბამისად	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სფეროში	დამტკიცებული ნორმატიული აქტები	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო	მიღებულია საქართველოს მთავრობის შემდეგი დადგენილებები: 1. „საკვები (სასურსათო) ფერმენტების შესახებ“ წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 აგვისტოს N482 დადგენილება; 2. ტექნიკური რეგლამენტი – სურსათში/ სურსათზე გამოსაყენებელი არომატიზატორებისა და არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 აგვისტოს N497 დადგენილება; 3. ტექნიკური რეგლამენტის – ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სწრაფად გაყინული სურსათის, ტემპერატურის მონიტორინგის, სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის ერთიანი მეთოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 1 ოქტომბრის N606 დადგენილება;

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>4. „ტექნიკური რეგლამენტი - ციტრუსოვანთა ჩინური ხარაბუხას Anoplophora chinensis (Forster) წინააღმდეგ ბრძოლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 ოქტომბრის N630 დადგენილება;</p> <p>5. „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების 2020 წლის 23 დეკემბრის N782 დადგენილება.</p> <p>6. „ტექნიკური რეგლამენტის - ღორის ვეზიკულური დაავადების დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 დეკემბრის N747 დადგენილება.</p> <p>7. „ტექნიკური რეგლამენტის - კარტოფილის რწყილის სახეობების: Epitrix cucumeris (Harris), Epitrix papa sp. n.; Epitrix subcrinita (Lec.) და Epitrix tuberosa (Gentner) წინააღმდეგ ბრძოლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 ივლისის N404 დადგენილება;</p> <p>8. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 ოქტომბრის N649 დადგენილება „სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“.</p> <p>9. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 ოქტომბრის N648 დადგენილება „საზეთე და საბოჭკოე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“.</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დადგენილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>10. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 ნოემბრის N695 დადგენილება „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლოსამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №336 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>11. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 ნოემბრის N712 დადგენილება „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის N337 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>ასევე მიღებულია სახელმძღვანელო მითითებები ცხოველთა საკვების მასალებს, საკვებ დანამატებს, ბიოციდურ პროდუქტებს და ვეტერინარულ სამკურნალო პროდუქტებს შორის განსხვავების დადგენის შესახებ.</p> <p>შემუშავებულია საქართველოს მთავრობის შემდეგი დადგენილებების პროექტები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების ცხოველის საკვების მიზნობრივი გამოყენების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი; 2. ცხოველის საკვების ბაზარზე გამოყენებისა და ბაზარზე განთავსების წესის დამტკიცების შესახებ; 3. „ცხოველის საკვების მასალის კატალოგის დამტკიცების შესახებ“

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;</p> <p>4. პროექტი ტექნიკური რეგლამენტის - „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №427 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;</p> <p>5. საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „პესტიციდების მდგრადი გამოყენების მისაღწევად გასატარებელი ღონისძიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;</p> <p>6. „ტექნიკური რეგლამენტის – „საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №443 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;</p> <p>7. „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის №317 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.</p>
24.	<p>ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები:</p> <p>საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება შესაბამის სააგენტოებთან, ბიზნესებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან</p>	<p>საინფორმაციო შეხვედრების გამართვა ევროკავშირის ბაზარზე შესვლის მოთხოვნებთან დაკავშირებით სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის</p>	<p>სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის გაზრდილი ინფორმირებულობა</p>	<p>ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;</p> <p>სსიპ სურსათის</p>	<p>სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის პროექტის II ფაზის ფარგლებში, კახეთის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ბიზნესოპერატორებთან. სურსათის უვნებლობის სპეციალისტებმა</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად საჭირო მოთხოვნების თაობაზე და ასევე, სამოქალაქო საზოგადოებასთან - სურსათისა და ცხოველთა საკვების უსაფრთხოების, შესაბამისი სამომხმარებლო ასპექტების თაობაზე;	წარმომადგენლებთან			ეროვნული სააგენტო	გადამამუშავებელი საწარმოებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების წარმომადგენლებს გააცნეს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპები და დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები.
25.	ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: საქართველოსთვის შემდგომი ტექნიკური რჩევებისა და მხარდაჭერის გაწევა კანონმდებლობის შემუშავებასა და გატარებაში, მათ შორის, შესაბამისი კადრების მომზადებაში, კომპეტენტური ორგანოების შესაძლებლობების განვითარებასა და ლაბორატორიული შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობაში, ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად;	შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს თანამშრომლების ტრენინგი კანონმდებლობის შემუშავებასა და განხორციელებაში, კომპეტენტური ორგანოსთვის შესაძლებლობების განვითარების პროგრამის და ლაბორატორიული უნარების გაძლიერების კუთხით	გაძლიერებული სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ღონისძიებებში ჩართული სახელმწიფო სტრუქტურები	ჩატარებული ტრენინგების და სხვა ღონისძიებების რაოდენობა	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო; სსიპ შემოსავლების სამსახური; სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია	1. NAITS პროექტის მხარდაჭერით, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO), სააგენტოს მიერ ხელშეკრულებით აყვანილ 35 ოპერატორს, აგრეთვე რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის სამმართველოს 7 თანამშრომელს ჩაუტარა ტრენინგი მონაცემთა ერთიან ბაზასთან დაკავშირებით; 2. სამინისტროს 2 თანამშრომელი და სურსათის ეროვნული სააგენტოს 2 სპეციალისტი დაესწრო ევროკავშირის მიერ ჩატარებულ ტრენინგს ცხოველის საკვების შესახებ; 3. სამინისტროს და სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებს ჩაუტარდა ტრენინგი პოლიტიკის მონიტორინგისა და ანგარიშგების თაობაზე საქართველოსა და ევროკავშირის შორის დადებული ასოცირების შეთანხმების/DCFTA-ს განხორციელების კონტექსტში; 4. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების პროექტის “მხარდაჭერა-2“ ფარგლებში, სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებს ჩაუტარდათ ონლაინ ტრენინგები აკვაკულტურაზე (21-22 სექტემბერი), პესტიციდებსა (23-24 სექტემბერი) და გადამდებ ღრუბლისებერ ენცაფალოპათიაზე (TSE) (12-13 ოქტომბერი). 5. 2020 წლის 9 და 10 დეკემბერს zoom - ის პლატფორმის მეშვეობით, ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე: სურსათის უვნებლობის საკითხები. აღნიშნული ტრენინგი twinning –

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ის პროგრამის „სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომებისა და სურსათის უვნებლობის სისტემის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა“ მისიის ექსპერტმა ჩაატარა. აღნიშნულ შეხვედრას სურსათის ეროვნული სააგენტოს 6 წარმომადგენელი ესწრებოდა, შეხვედრას ასევე, ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები;</p> <p>6. 2020 წლის 21 და 22 დეკემბერს, zoom - ის პლატფორმის მეშვეობით, ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე: „სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომებისა და სურსათის უვნებლობის სისტემის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა“. შეხვედრას სურსათის ეროვნული სააგენტოს 6 წარმომადგენელი ესწრებოდა. შეხვედრას ასევე, ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები.</p>
26.		<p>თანამშრომლების დატრენინგება ჰელმინთოლოგიის, ენტომოლოგიის, მიკოლოგიის და ბაქტერიოლოგიის მიმართულებით</p>	<p>ლაბორატორიის თანამშრომელთა გაუმჯობესებული უნარ-ჩვევები</p>	<p>შესაბამისი მიმართულებით ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა</p>	<p>სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია</p>	<p>ჩეხეთის სახელმწიფო ვეტერინალური ინსტიტუტისა და სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის თაფლის ერთობლივი პროექტის ფარგლებში 27 – 31 იანვარს 2020 წ., ჩატარდა ტრენინგი მძიმე მეტალის - ვერცხლისწყლის გაზომვის თაობაზე ვერცხლისწყლის ანალიზატორი Altec AMA 254 გამოყენებით.</p> <p>სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია:</p> <p>თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) დაფინანსებით, ჩატარდა ონლაინ ტრენინგები თემებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> - Phytophthora sp. და Pythium sp. მორფოლოგიური იდენტიფიკაცია; - Armillaria mellea-ს გამოვლენა და იდენტიფიკაცია;

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<ul style="list-style-type: none"> - Sclerotinia sclerotiorum, S. minor, Atelia rolfsii-ის გამოვლენა, მორფოლოგიური და PCR იდენტიფიკაცია; - Tilletia indica-ს მორფოლოგიური იდენტიფიკაცია.
27.		<p>მცენარეთა დაცვის მიმართულებით სურსათის კვლევის და ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების დამატება ან/და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება</p>	<p>კვლევის სფეროს დამატება ახალი მეთოდები ან/და გაფართოვდება აკრედიტაციის სფერო</p>	<p>შესაბამისი კვლევების რაოდენობა, რომლებიც დამატება ლაბორატორიული მომსახურების (კვლევების) ჩამონათვალს (პრეისკურანტი)</p>	<p>სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია</p>	<p>სურსათის კვლევის დეპარტამენტში დანერგილია და აკრედიტებულია კვლევის მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სტაფილოკოკის ენტეროტოქსინის კვლევა სურსათის პროდუქტებში ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად. • გაყინულ ქათამში წყლის შემცველობის განსაზღვრა ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად. • სურსათში ნიტრიტისა და ნიტრატის განსაზღვრა ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად. • თაფლში მაკროლიდების და თიამულინის განსაზღვრა თაფლში სითხურ ქრომატოგრაფთან შეუღლებული სამმაგ კვადრუპოლიანი მას-სპექტრომეტრის (LC/MS/MS) საშუალებით. • აფლატოქსინი M1-ის განსაზღვრა რძეში მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფის გამოყენებით (HPLC). • მძიმე მეტალების განსაზღვრა წყალში ატომ-ემისიური სპექტრომეტრის Agilent AES MP-4200 - ის მეშვეობით. <p>მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის მიმართულებით დაინერგა და აკრედიტებულია კვლევის მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბაქტერიული კიბოს გამომწვევების - Agrobacterium tumefaciens და A. vitis-ის გამოვლენა და მორფოლოგიურ-ბიოქიმიური და პჯრ იდენტიფიკაცია; • მარწყვის ფოთლის კუთხოვანი ლაქიანობის გამომწვევი ბაქტერიის - Xanthomonas fragariae-ს გამოვლენა და მორფოლოგიურ-ბიოქიმიური და პჯრ იდენტიფიკაცია;

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<ul style="list-style-type: none"> • მოცვის დამწვრობის ვირუსის (BISCV) გამოვლენა; • მოცვის თასმისებრი ვირუსის (BSSV) გამოვლენა; • არაბისის მოზაიკური ვირუსის (ArMV) გამოვლენა.
28.		<p>კომპეტენტური ორგანოების შესაძლებლობების განვითარებასა და ლაბორატორიული შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად.</p>	<p>გადამზადებული თანამშრომლები სასაზღვრო კონტროლის პროცედურებს ახორციელებენ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად</p>	<p>ჩატარებული ღონისძიებების და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;</p> <p>სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო</p> <p>სსიპ შემოსავლების სამსახური</p> <p>სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია</p>	<p>თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) დაფინანსებით, ჩატარდა ონლაინ ტრენინგები და გადამზადდა სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის სამი თანამშრომელი.</p> <p>სსიპ შემოსავლების სამსახურის მხრიდან ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის „ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში - II ფაზა“ ფარგლებში:</p> <ul style="list-style-type: none"> • 22-23 იანვარს ჩატარდა სამუშაო შეხვედრა - „მონიტორინგის გეგმები - ძირითადი პრინციპები და მეთოდოლოგია.“ სამუშაო შეხვედრა ჩატარა ესტონეთის ვეტერინარიისა და სურსათის საბჭოს მრჩეველმა ქალბატონმა რეგინა ფილაკასმა. შემოსავლების სამსახურიდან მონაწილეობა მიიღო 6-მა თანამშრომელმა. სურსათის ეროვნული სააგენტოდან მოწვეული იყო 2 წარმომადგენელი. • 29-30 იანვარს ჩატარდა სამუშაო შეხვედრა - „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის პროცედურები, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის გარდა კონტროლისათვის განსაზღვრულ სხვა ადგილზე“. სამუშაო შეხვედრა ჩატარა ლიეტუვის მცენარეთა დაცვის სახელმწიფო სამსახურის სასაზღვრო კონტროლის კოორდინაციის სამმართველოს უფროსმა ქალბატონმა ვილმა მიკელაიტენემ. შემოსავლების სამსახურიდან მონაწილეობა მიიღო 6-მა თანამშრომელმა. სურსათის ეროვნული სააგენტოდან მოწვეული იყო 2 წარმომადგენელი.

N	ასოციირების შესახებ შეთანხმების ან ასოციირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>• 11-12 მარტს ჩატარდა სწავლება - „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების სასაზღვრო კონტროლის პროცედურებზე“. სწავლება შეხვედრას ჩატარა ლატვიის სურსათისა და ვეტერინარიის სამსახურის წარმომადგენელმა ბატონმა ედუარდს ბაკასეჯევსიმ. შემოსავლების სამსახურიდან მონაწილეობა მიიღო 21-მა თანამშრომელმა. სურსათის ეროვნული სააგენტოდან მოწვეული იყო 2 წარმომადგენელი.</p>
29.	<p>ასოციირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: საქართველოს მხარდაჭერა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სფეროში რისკის ანალიზის გაძლიერების მიზნით; სასაზღვრო შემმოწმებელ პუნქტებზე ვეტერინარული ფიტოსანიტარიისა და საკვების უსაფრთხოების შემოწმებათა უზრუნველყოფა</p>	<p>დაახლოებული სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელებისთვის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო ინფრასტრუქტურის განვითარება</p>	<p>დაფინანსების მოძიება სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების მშენებლობისთვის.</p>	<p>1 სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის დაფინანსება მოძიებულია</p>	<p>სსიპ შემოსავლების სამსახური</p>	<p>შეფერხებულია COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით</p>
საბაჟო და ვაჭრობის ხელშეწყობა						
30.	<p>ასოციირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: მხარეები ითანამშრომლებენ ქართული კანონმდებლობის ასოციირების შესახებ შეთანხმების შესაბამის დანართში მოცემულ ევროკავშირის</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა ინსტიტუციონალური განვითარება ახალი საბაჟო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის მიზნით</p>	<p>შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების ამაღლებული ცოდნა საბაჟო სფეროს მარეგულირებელი ახალი კანონმდებლობის საკითხებში</p>	<p>ჩატარებული ტრენინგების ან/და გადამზადებული თანამშრომლებს რაოდენობა</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ შემოსავლების სამსახური</p>	<p>მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, შეფერხებები COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით</p>

N	ასოციირების შესახებ შეთანხმების ან ასოციირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
31.	კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისთვის მოსამზადებლად. დაახლოება უნდა დაეფუძნოს კავშირის საბაჟო კოდექსს, რომელიც დანერგილია 2016 წლის 1 მაისის მდგომარეობით. ასოციირების შეთანხმების შესაბამის დანართში ისახება გაერთიანების საბაჟო კოდექსის ჩანაცვლება კავშირის საბაჟო კოდექსით	კერძო სექტორის წარმომადგენელთა ინფორმირება ახალი საბაჟო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით	კერძო სექტორის წარმომადგენლების გაზრდილი ინფორმირებულობა საბაჟო სფეროს ახალი რეგულაციების და კანონმდებლობის მოთხოვნების შესახებ	კერძო სექტორისთვის ჩატარებული შეხვედრებისა და მასში მონაწილეთა რაოდენობა	სსიპ შემოსავლების სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	გაიმართა ონლაინ შეხვედრები კერძო სექტორის წარმომადგენელი ასოციაციების და ბიზნესის მონაწილეობით. COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დისტანციური შესაძლებლობების პლატფორმებს მათ შორის საბაჟო და საგადასახადო ადმინისტრაციის ახალ ვებ გვერდს, შესაბამისი საინფორმაციო მოდულების ჩათვლით.
32.	ასოციირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: საქართველოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი სისტემის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის სისტემასთან	ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის ეფექტიანი განხორციელების მიზნით შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა ინსტიტუციონალური განვითარება	გაზრდილია თანამშრომლების ცოდნა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის მარეგულირებელი ახალი კანონმდებლობის საკითხებში	ჩატარებული ტრენინგების და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ შემოსავლების სამსახური	დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარება გადაიდო COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე.
33.		კერძო სექტორის წარმომადგენელთა ინფორმირება ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის შესახებ	გაზრდილია კერძო სექტორის წარმომადგენლების ცნობიერება ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის შესახებ	კერძო სექტორის წარმომადგენელთათვის ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ შემოსავლების სამსახური	გაიმართა ონლაინ შეხვედრები კერძო სექტორის წარმომადგენელი ასოციაციების და ბიზნესის მონაწილეობით.
34.	ასოციირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: თანამშრომლობა რისკის შემცველ საბაჟო	საჰაერო მგზავრებზე წინასწარი ინფორმაციის/ მგზავრების პირადი მონაცემების გაცვლის შესახებ (API/PNR)	შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების გაზრდილი ინფორმირებულობა საჰაერო მგზავრებზე	ჩატარებული ღონისძიებების და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;	შეფერხებები COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე.

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	კონტროლზე და შესაბამისი ინფორმაციის გაზიარება, რაც ხელს შეუწყობს რისკების მართვისა და მომარაგების ჯაჭვის უსაფრთხოების გაუმჯობესებას, კანონიერი ვაჭრობის ხელშეწყობას და იმპორტირებული, ექსპორტირებული თუ სატრანზიტო საქონლის უვნებლობასა და უსაფრთხოებას	რეგულაციების ამოქმედების მიზნით სასწავლო ღონისძიებების ორგანიზება	წინასწარი ინფორმაციის/ მგზავრების პირადი მონაცემების გაცვლის შესახებ (API/PNR) რეგულაციების შესახებ		სსიპ შემოსავლების სამსახური	
35.	ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: საქართველოსთვის დახმარების გაწევა ტრანზიტის საერთო პროცედურების კონვენციასთან შეერთების პროცესში;	კონვენციასთან დაახლოების/მიერთების მიზნით, საერთო სატრანზიტო პროცედურების დანერგვის ხელშეწყობა NCTS ელექტრონული სისტემის მეშვეობით	კონვენციის წევრ ქვეყნებთან, კონვენციით გათვალისწინებული, ტრანზიტის პროცედურების განხორციელებისთვის მომზადება	NCTS ელექტრონული სისტემის შექმნა და ტესტირება, შესაბამისი სატრანზიტო პროცედურების ნორმატიული აქტების მიღება	სსიპ შემოსავლების სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	დასრულდა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების დამოხილვის პროექტი - "ტრანზიტის საერთო პროცედურების (CTC) კონვენციასთან მიერთებისა და ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) დანერგვის ხელშეწყობა". დასრულდა მუშაობა პირველადი და მეორადი კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზზე. მომზადდა შესაბამისი ცვლილებების პროექტი. შემუშავებულ იქნა NCTS ელექტრონული სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციური და არა ფუნქციური მოთხოვნების შესახებ დოკუმენტი. დასრულდა ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა ევროკავშირისა და „გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ (UNCTAD)“ შორის. ხელშეკრულების საგანია შემოსავლების სამსახურისათვის ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, მისი ბიუჯეტია 1,000,000 ევრო, ხოლო ხანგრძლივობა 24 თვე. პროექტი განხორციელდება 2021 – 2022 წლებში
36.		საბაჟოს თანამშრომლების ტრენინგი საერთო	საბაჟოს თანამშრომლები ფლობენ საერთო	ტრენინგებისა და გადამზადებული	სსიპ შემოსავლების სამსახური;	ევროკავშირის ტექნიკური დახმარების დამოხილვის პროექტის ფარგლებში - "ტრანზიტის საერთო პროცედურების (CTC)

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
		სატრანზიტო პროცედურების კონვენციის დებულებების ეფექტიანი აღსრულების მიზნით	სატრანზიტო პროცედურების კონვენციის დებულებების აღსრულებისათვის საჭირო ცოდნისა და ინფორმაციას	თანამშრომლების რაოდენობა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	კონვენციასთან მიერთებისა და ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) დანერგვის ხელშეწყობა" განხორციელდა შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა სასწავლო ვიზიტი ჩეხეთის რესპუბლიკასა და ლატვიაში. ვიზიტის ფარგლებში ქართული დელეგაცია გაეცნო ქვეყნების გამშვებ პუნქტებსა და საბაჟო ადმინისტრაციულ ოფისებში ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის ფუნქციონირების მექანიზმებს, მისი მუშაობის სპეციფიკას. ასევე, სამსახურის საბაჟო დეპარტამენტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა სტაჟირება პოლონეთის საბაჟო ადმინისტრაციის NCTS მონაცემთა დამუშავების ცენტრში. შემუშავებულ იქნა ტრენინგის მასალები როგორც თანამშრომელთა ასევე კერძო სექტორის წარმომადგენელთათვის
37.		კერძო სექტორის წარმომადგენელთა ინფორმირება საერთო სატრანზიტო პროცედურების კონვენციის დებულებების მოთხოვნების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით	საერთო სატრანზიტო პროცედურების კონვენციის მოთხოვნების განხორციელებისათვის საჭირო ცოდნა და ინფორმაცია გავრცელებულია	კერძო სექტორისთვის ჩატარებული შეხვედრებისა და სხვა ღონისძიებების რაოდენობა	სსიპ შემოსავლების სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	2020 წლის 10 მარტს, გაიმართა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების დამმობილების პროექტის - "ტრანზიტის საერთო პროცედურების (CTC) კონვენციასთან მიერთებისა და ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) დანერგვის ხელშეწყობა" დასრულებისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიებაში სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს კერძო სექტორისა და ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებმა. პროექტის მხრიდან გაკეთდა შემუშავებული მოხსენება და მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია როგორც განხორციელებული ღონისძიებების, ასევე სამომავლო გეგმების შესახებ.
მომსახურებით ვაჭრობა						
38.	ასოცირების შესახებ შეთანხმება თავი 6; ნაწილი 6 და ასოცირების დღის წესრიგი 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან	"ელექტრონული კომერციის შესახებ" საქართველოს კანონის მიღება	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან	მიღებულია საქართველოს კანონი "ელექტრონული კომერციის შესახებ"	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მომზადებულია საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ,“ მომზადდა ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის

N	ასოციირების შესახებ შეთანხმების ან ასოციირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	დაკავშირებული საკითხები: დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია					ცხრილი, დასრულდა კანონპროექტის დახვეწის სამუშაოები. კანონის პროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ, წარდგენილი იქნება დადგენილი წესით დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტის მუშაობის განახლების შემდეგ.
39.	ასოციირების შესახებ შეთანხმება; დანართი XV-B; სატელეკომუნიკაციო მომსახურებისათვის განსაზღვრული წესები: საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ასოციირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან	საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ (2002/58/EC); ავტორიზაციის შესახებ (2002/20/EC); დაშვების შესახებ (2002/19/EC) და ჩარჩო(2002/21/EC) დირექტივებთან	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან	მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	მომზადებულია ცვლილებების პროექტი საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, გახორციელდა კერძო სექტორის შენიშვნების და კომენტარების შეგროვება/ანალიზი, მომზადდა ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან მიღებული იქნა კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტი, ევროკავშირის დირექტივებთან შედარების ცხრილები და განმარტებითი ბარათი, რის შემდგომაც სამინისტრომ განაახლა მუშაობა გადამუშავებულ კანონპროექტზე, ივეგმებოდა დამატებითი კონსულტაციების გამართვა კერძო სექტორთან რომელიც შეფერხდა ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო. ცვლილებების პროექტის განსახილველად გატანა ივეგმება საქართველოს პარლამენტის მუშაობის განახლების შემდეგ.
40.		საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება უნივერსალური მომსახურებების შესახებ (2002/22/EC) დირექტივასთან	საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან	მომზადებული და მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	სამინისტრომ, მსოფლიო ბანკთან დაწყებულ „Log-in Georgia“ პროექტის ფარგლებში დაიწყო მუშაობა უნივერსალურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების საკითხებზე, რომელიც დასრულდება 2021 წლის პირველ კვარტალში.
41.	წყარო: ასოციირების შესახებ შეთანხმება; კარი IV, თავი 6, ნაწილი 5, ქვენაწილი 4,	"ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის მიღება	ევროპული საუკეთესო პრაქტიკის	მიღებულია "ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი	კანონპროექტი ფოსტის შესახებ წარედგინა საქართველოს მთავრობას საქართველოს პარლამენტში ინიცირებისთვის.

N	ასოციირების შესახებ შეთანხმების ან ასოციირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	მუხლი 103, პარაგრაფი 1: კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან, რომელიც მოცემულია შეთანხმების XV-C დანართში		შესაბამისი საფოსტო სფეროს სამართლებრივი ბაზა. საფოსტო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა.		განვითარების სამინისტრო	კანონის პროექტი დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარდგენილი იქნება საქართველოს პარლამენტის მუშაობის განახლების შემდეგ.
საჯარო შესყიდვები						
42.	ასოციირების დღის წესრიგი; 2.5. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: შესყიდვების პოლიტიკასა და მის შესრულებაზე მოქმედი დაგეგმილი საკანონმდებლო სამუშაოს თაობაზე ზუსტი და დროული ინფორმაციის მიწოდებას, რაც გულისხმობს საჯარო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო დაახლოებასა და უწყებათა ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ ინფორმაციასაც. 2016 წლის 31 მარტს, საქართველოს მთავრობამ მიიღო ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა (Comprehensive Roadmap), რომელიც მოიცავს 2016 წლიდან 2022 წლამდე შესასრულებელ მოქმედების ხუთ ფაზას. მხარეები გააგრძელებენ მსჯელობას სამოქმედო გეგმის განხორციელების თაობაზე, უზრუნველყოფენ რა საჯარო შესყიდვების შესახებ საქართველოს	საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონის პროექტის მიღება ევროკავშირის დირექტივებთან კომპლექსური დაახლოების მიზნით	საჯარო შესყიდვების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი (კანონპროექტში გაწერილია სხვადასხვა დებულების ამოქმედების ეტაპობრივი, დროში გაწერილი გეგმა) დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან	პარლამენტში გადაგზავნილია საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონი	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	საჯარო შესყიდვების სფეროს კომპლექსური რეფორმის ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს ახალი ინსტიტუციური მოწყობის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაზრდილ ხარისხს. მიმდინარე წლის 2 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო ცვლილებები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში და შესაბამისი ცვლილებები აისახა ასევე სამ კანონში, კანონში საჯარო სამსახური შესახებ, კანონში „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონში, რომლის თანახმადაც 2021 წლის 1 იანვრიდან დავების განხილვის საბჭო ახალი ინსტიტუციური მოწყობით დაიწყებს ფუნქციონირებას. ევროკავშირის დამოზილების (Twinning) პროექტის ექსპერტთა ჩართულობით და „შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დებულების შესაბამისად შემუშავდა დავების განხილვის საბჭოს რეგლამენტი, აპარატის დებულება და აპარატის წევრთა სამუშაო აღწერილობა, რომელიც უნდა დამტკიცდეს საქართველოს

N	ასოციირების შესახებ შეთანხმების ან ასოციირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	<p>კანონმდებლობის ევროკავშირის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობასთან დაახლოებას, როგორც ეს გათვალისწინებულია ასოციირების შესახებ შეთანხმებით და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 31 მარტის #536 განკარგულებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმით (დანართი I, ფაზა II, გზამკვლევის თავი 4.3.2.1. და 4.3.2.2.).</p>					<p>მთავრობის დადგენილებით. ევროკავშირის Twinning-ის ექსპერტების დახმარებით, ასევე შემუშავდა დავების განხილვის საბჭოს ბიზნეს პროცესის აღწერა და საქმის წარმოების წესები, საუკეთესო ევროპული გამოცდილების მაგალითები და სხვა დამხმარე დოკუმენტები.</p> <p>2020 წლის 2 ივლისს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, გამოიცა საქართველოს მთავრობის ოთხი დადგენილება, რომლის საფუძველზეც დამტკიცდა დავების განხილვის საბჭოს რეგლამენტი, კონკურენციის სააგენტოს დებულება და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულება და სტრუქტურა. გამოიცა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ხუთი შესაბამისი თანმდევი ბრძანება.</p> <p>საქართველოს პრემიერ მინისტრის 2020 წლის 18 დეკემბრის ბრძანებით, განხორციელდა დავების განხილვის საბჭოს წევრების დანიშვნა.</p> <p>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ დაასრულა საჯარო შესყიდვების შესახებ ახალ კანონპროექტზე მუშაობა. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ახალი კანონპროექტი ასახავს DCFTA-ით გათვალისწინებული საკანონმდებლო დაახლოების ყველა ფაზას, თითოეული ფაზის შესაფერისი ვალდებულებების ეტაპობრივად და შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადებში ამოქმედებას. კანონპროექტი წარდგენილი იქნება საქართველოს პარლამენტში 2021 წელს.</p>
43.		საჯარო შესყიდვების შესახებ მიღებული ახალი კანონის შესაბამისი კანონქვემდებარე	საჯარო შესყიდვების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება	მომზადებულია, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	მიმდინარეობს კომპეტენციების განაწილების პროცესი საჯარო შესყიდვების მარეგულირებელ ძირითად და მეორად კანონმდებლობას შორის.

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
		ნორმატიული აქტების მომზადება.	ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან; საჯარო შესყიდვების შესახებ მიღებული ახალი კანონმდებლობის იმპლემენტაციის ხელშეწყობა			
44.	საჯარო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ახალი ელ. სერვისების დიზაინის და პროცედურების დანერგვა	საჯარო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდერნიზება ახალ საკანონმდებლო ცვლილებებთან და ევრო დირექტივების რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით	საჯარო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დანერგილი ახალი ელ. სერვისები და პროცედურები	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის (e-Procurement) გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის სხვა საჯარო უწყებებთან ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლის კუთხით. ამ მხრივ, 2020 წელს კიდევ უფრო გაღრმავდა ერთიანი ელექტრონული სისტემისა და სახელმწიფო ხაზინას შორის ინფორმაციის გაცვლა: 1. სისტემის მეშვეობით ხაზინაში ელექტრონულად იგზავნება ინფორმაცია ხელშეკრულების დაფინანსების წლის შესახებ, როგორც გამარტივებული შესყიდვების ასევე ტენდერში დადებული ხელშეკრულების თაობაზე; 2. განხორციელდა ხაზინაში ელექტრონული შეტყობინებით ინფორმაციის მიწოდება CMR მოდულში ატვირთული ხელშეკრულებების (როგორც ერთწლიანი ასევე მრავალწლიანი და უწყვეტი) შესახებ; 3. შავი სიის წარმოების მიზნით, განხორციელდა საჯარო რეესტრიდან ინფორმაციის ელექტრონულად მოწოდება კომპანიის წარმომადგენლობა/ფილიალის დამფუძნებლის შესახებ. თუ პრეტენდენტი/მიმწოდებელი არის უცხოური საწარმო/მუდმივი დაწესებულება/ფილიალი (წარმომადგენლობა), შავ სიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება	

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ძირითადი საწარმოსა და საქართველოში რეგისტრირებული მისი ყველა მუდმივი დაწესებულების/ვილიალის (წარმომადგენლობის) მიმართ.</p> <p>4. ელექტრონული სისტემის ძებნის პანელში განხორციელდა მიმწოდებლის სტატუსით (გამარჯვებული, დისკვალიფიცირებული) ძებნის დამატება, როგორც ავტორიზებული მომხმარებლის ასევე სტუმრის სტატუსით მოსარგებლე პირისათვის.</p> <p>5. განხორციელდა სახელმწიფო ხაზინაში ელექტრონული შეტყობინებით ინფორმაციის მიწოდება CON (კონსოლიდირებული ტენდერების) მოდულში ატვირთული ხელშეკრულებების (როგორც ერთწლიანი ასევე მრავალწლიანი და უწყვეტი) შესახებ.</p>
45.		ტრენინგების ციკლის განხორციელება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლებისათვის	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პასუხისმგებელი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება ევრო დირექტივებთან საკანონმდებლო დაახლოების კუთხით	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა; ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	<p>მიმდინარე წლის 21 იანვარს, ევროკავშირის დამოხილების (Twinning) პროექტის „სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გაძლიერება საქართველოში ფარგლებში, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოში (GITA) გაიმართა სემინარი თემაზე „ინოვაციები და მდგრადი განვითარება“ . ლონისძიებაზე დაინტერესებულმა მხარეებმა განიხილეს არსებული ვითარება ინოვაციების კუთხით და ინოვაციური და მდგრადი შესყიდვების სისტემის ჩამოყალიბების მიზნები. შეხვედრაზე ავსტრიელმა ექსპერტებმა დამსწრე საზოგადოებას გაუზიარეს ავსტრიის მოწინავე გამოცდილება შესყიდვებში ინოვაციური პრინციპების და სერვისების შესახებ.</p> <p>მიმდინარე წლის 12-13 თებერვალს, აშშ-ს კომერციის დეპარტამენტის, კომერციული სამართლის პროგრამის მხარდაჭერით, გაიმართა სემინარი თემაზე „გამჭვირვალე და ეფექტური შესყიდვები“. სემინარს ესწრებოდნენ სხვადასხვა დაინტერესებული უწყების წარმომადგენლები. სემინარზე</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ამერიკელმა ექსპერტებმა გამოცდილება გაუზიარეს დამსწრე აუდიტორიას, აშშ-ს ელექტრონული შესყიდვების და პრინციპების შესახებ.</p> <p>მიმდინარე წლის 5 ივნისს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ასოცირების ხელშეკრულების შესრულების ხელშეწყობის პროგრამის“ დახმარებით გაიმართა ონლაინ ტრენინგი “პოლიტიკის მონიტორინგი და შეფასება“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების თანამშრომლებმა.</p> <p>2020 წლის 7 ოქტომბერს გაიმართა WTO-GPA კომიტეტის სხდომა ონლაინ პლატფორმის მეშვეობით, სადაც დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლებმა.</p> <p>2020 წლის 3-5 აზიის განვითარების ბანკის ყოველწლიური ონლაინ კონფერენცია „აზია წყნარი ოკეანის ქვეყნების საჯარო შესყიდვები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა.</p> <p>2020 წლის 18 ნოემბერს გაიმართა WTO-GPA კომიტეტის ვირტუალური სემინარი, GPA კომიტეტის ახალი კანდიდატების, წევრებისა და დამკვირვებელი ქვეყნებისთვის.</p> <p>2020 წლის 24 ნოემბერს გაიმართა „ვებინარი“, თემაზე „GPA-ში გაწევრიანების გზა“. „ვებინარი“ ორგანიზებული იყო EBRD-ის მიერ, სადაც მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს და ასევე სხვა კანდიდატი ქვეყნების მზაობა GPA-ში გაწევრიანებისათვის.</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
46.		საინფორმაციო შეხვედრებისა და სემინარების ციკლის დაგეგმვა, მომზადება და განხორციელება შემსყიდველი ორგანიზაციების, ბიზნეს-გაერთიანებების, ცალკეული ეკონომიკური ოპერატორებისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის	შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორების და სხვა დაინტერესებული მხარეების გაზრდილი ცოდნა, უნარ-შესაძლებლობები; ეს ორგანიზაციები ადაპტირებული არიან ახალი კანონმდებლობის მოთხოვნებთან	შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა; ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრებისა და სემინარების ციკლის რაოდენობა	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო; საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატა	<p>2020 წელს სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგების ერთი ნაკადი. გადამზადდა 40 სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტი, აქედან 23 მსმენელი ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო უწყებებიდან, ხოლო 17 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტი. 2020 წლის ივნისში სასწავლო ცენტრში დაიგეგმა და ჩატარდა საზაფხულო ტელე-სკოლის ტრენინგები, პროექტის ფარგლებში ჩაიწერა ათი 30 წუთიანი ვიდეო, რომელიც 22 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით გადაიცემოდა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის განათლება პირველი არხის ეთერში, (http://procurement.gov.ge/TrainingCenter/tc-summer.aspx) რაც მნიშვნელოვანი სიახლეა და სრულად აკმაყოფილებს შესყიდვების სპეციალისტთა მოთხოვნებს, როგორც საჯარო, ასევე ბიზნეს სექტორიდან. ტრენინგის მოსმენის შემდგომ მსურველებს შესაძლებლობა ეძლევათ გაიარონ ტესტირება და მიიღონ სერთიფიკატი.</p> <p>2020 წლის 14-23 ივლისს საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთათვის, ორ ნაკადად ჩატარდა სახელმწიფო შესყიდვების ონლაინ კურსები "სახელმწიფო შესყიდვების სპეციალიზებული კურსი". ტრენინგის თითოეულ ნაკადზე წარმოდგენილი იყო 20 (ოცი) მსმენელი, ჯამში 40 (ორმოცი) მსმენელი. ტრენინგი დაიყო 10 თემატურ მეცადინეობად, ხოლო მეთერთმეტე სესია დაეთმო კითხვა-პასუხის რეჟიმს. ტრენინგს უძღვებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის ტრენერები.</p> <p>2020 წლის 16 ნოემბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით გაიმართა "სახელმწიფო შესყიდვების ონლაინ კურსი" ექვს ნაკადად,</p>

N	ასოციირების შესახებ შეთანხმების ან ასოციირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						რომლის მეშვეობით გადამზადდა ჯამში 144 მსმენელი. 2020 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სასწავლო ცენტრში გადამზადდა 379 მსმენელი. ონლაინ სწავლება მიმდინარეობდა ZOOM პლატფორმის მეშვეობით.
ინტელექტუალური საკუთრების უფლებები						
47.	<p>ასოციირების დღის წესრიგი, 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, ინტელექტუალური საკუთრების უფლება:</p> <p>აღსრულების კუთხით, შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების კომპეტენციის გაძლიერება, ისევე, როგორც სასამართლო სისტემის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა გარანტირებულ იქნას უფლების მფლობელობის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სანქციების ეფექტური იმპლემენტაცია.</p>	<p>შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებისათვის, მოსამართლეებისათვის და ადვოკატებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხზე ტრენინგების ჩატარება.</p>	<p>ინტელექტუალური საკუთრების სფეროში შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლების, მოსამართლეთა და ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლება და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სასამართლო სისტემის გაუმჯობესებული მუშაობა.</p>	<p>შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებისათვის, მოსამართლეებისა და ადვოკატებისათვის ორგანიზებული ტრენინგების რაოდენობა</p>	<p>სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“</p> <p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;</p> <p>სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა</p>	<p>EUGIPP პროექტის ფარგლებში, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში პრეცედენტული სასამართლო პრაქტიკის გაზიარების შესახებ კონფერენცია გაიმართა 2020 წ. 15-16 ოქტომბერს, რომელსაც ონლაინ რეჟიმში დაესწრო საქპატენტის სასაქონლო ნიშნების და გეოგრაფიული აღნიშვნებისა და იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლები, საერთო სასამართლოების მოსამართლეები და პატენტრწმუნებულები. კონფერენციის ფარგლებში ევროპელი კოლეგების მიერ გაზიარებულ იქნა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ზოგადი მუშაობის პრაქტიკა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით.</p> <p>დეკემბრის თვეში ციფრულ სივრცეში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის – გეოგრაფიული აღნიშვნის კონტროლისა და მასზე უფლებების აღსრულების მექანიზმების შესახებ ტრენინგი გაიმართა საქპატენტის იურიდიული და სასაქონლო ნიშნების დეპარტამენტების თანამშრომლებისა და აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებისთვის. სიმულაციური პროცესების განხორციელება შესაძლებელი გახდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტრენინგის პროექტის „საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების ეფექტური დაცვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის“ ფარგლებში.</p>

N	ასოციირების შესახებ შეთანხმების ან ასოციირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
48.	<p>ასოციირების დღის წესრიგი, 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, ინტელექტუალური საკუთრების უფლება: სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა გარანტირებულ იქნას სამრეწველო საკუთრების უფლებების და საავტორო უფლებების დაცვა; მესამე ქვეყნების მთავრობებსა და სამრეწველო ასოციაციებთან თანამშრომლობის გაფართოება.</p>	<p>საქპატენტის თანამშრომელთათვის ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების გამართვა; მესამე ქვეყნების მთავრობებსა და სამრეწველო ასოციაციებთან ორმხრივი შეხვედრების, სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზება, რათა გაზიარებულ იქნას განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება</p>	<p>საქპატენტის ადამიანური და ინსტიტუციონალური რესურსების გაძლიერება, რაც შესაძლებელს გახდის უკეთ შესრულოს მისი ძირითადი ფუნქციები (სამრეწველო საკუთრების უფლებების და საავტორო უფლებების დაცვა).</p>	<p>თანამშრომელთათვის ორგანიზებული ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების რაოდენობა</p>	<p>სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“</p>	<p>2020 წლის 23 იანვარს, ქ. ბრიუსელში გაიმართა ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქართველო-ევროკავშირის გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის სხდომა, სადაც საქპატენტის წარმომადგენელმა, საქართველოს სახელით ხელი მოაწერა გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის N1/2020 გადაწყვეტილებას „ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს და მეორე მხრივ საქართველოს შორის ასოციირების შესახებ შეთანხმების XVII-C და XVII-D დანართებში ცვლილებების შეტანის შესახებ“.</p> <p>2020 წლის 3 თებერვალს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტის“ (EUGIPP) პირველი წლის სამუშაო გეგმის შემუშავების დაწყების მიზნით, საქართველოს სამუშაო ვიზიტით ესტუმრა პროექტის ხელმძღვანელი, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) საერთაშორისო თანამშრომლობისა და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის წარმომადგენელი. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების სისტემის მხარდაჭერას საქართველოში. პროექტს განახორციელებს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO) და მისი ძირითადი ბენეფიციარია „საქპატენტი“. პირველი შეხვედრა გაიმართა საქართველოს პატენტრწმუნებულებთან. შეხვედრები ასევე გაიმართა იუსტიციის უმაღლესი სკოლის, ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის, პროკურატურის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის, ევროპის ბიზნეს ასოციაციის, საერთაშორისო სავაჭრო პალატისა და ეკონომიკისა და მდგრადი</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელ პირებთან.</p> <p>2020 წლის 14 თებერვალს, გაიმართა შეხვედრა ყაზახეთის რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ინსტიტუტის დირექტორსა და საქპატენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს შორის, სადაც მხარეებმა განიხილეს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში თანამშრომლობის სხვადასხვა საკითხები და დასახეს სამოქმედო გეგმები. საუბარი შეეხო საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის „გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ ორმხრივი შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებულ საკითხს.</p> <p>2020 წლის 2 მარტს გაიმართა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მიმდინარე დამოზილების პროექტის “საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების ეფექტური დაცვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის“ მმართველი კომიტეტის რიგით მეოთხე შეხვედრა. შეხვედრაზე განხილულ იქნა განხორციელებული აქტივობები/სამუშაოები და სამომავლო გეგმები. პროექტის ფარგლებში მომზადდა არაერთი საკანონმდებლო აქტის პროექტი, გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარების სამოქმედო გეგმა, სხვადასხვა გაიდლაინები და ა.შ. შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერა კვარტალურ ანგარიშებს და ასევე პროექტის მომდევნო 6 თვის, 2020 წლის 1 თებერვლიდან 2020 წლის 31 ივლისამდე, სამუშაო გეგმას.</p> <p>2020 წლის 30 მარტს, საქპატენტმა გამოაქვეყნა პრაქტიკის დოკუმენტი, რომელიც ეხება დიზაინის გრაფიკულად გამოსახვას და რაც წარმოადგენს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული</p>

N	ასოციირების შესახებ შეთანხმების ან ასოციირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ცენტრის - საქპატენტის და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) ერთობლივი მუშაობის შედეგს. დოკუმენტი შეიცავს, მკაფიო და სრულყოფილ ახსნა-განმარტებას იმ პრინციპებისა, რომელიც საქპატენტის მიერ დიზაინის განაცხადის მიღებისას იქნება გამოყენებული. საქპატენტი, ევროკავშირის პირველი არაწევრი ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაა, რომელმაც დიზაინის გრაფიკულად გამოსახვას საკუთარი პრაქტიკა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ქსელის (EUIPN) წევრი უწყებების საერთო პრაქტიკას შეუსაბამა.</p> <p>2020 წლის 29 აპრილს და 27 მაისს ჩატარდა ვიდეოკონფერენცია საქპატენტსა და ევროპის საპატენტო უწყებას შორის (EPO). შეხვედრაზე განხილულ იქნა ორ უწყებას შორის თანამშრომლობის მიმდინარე საკითხები. მათ შორის ევროპის საპატენტო ორგანიზაციასა და საქართველოს შორის 2019 წლის ოქტომბერში გაფორმებული ვალიდაციის ხელშეკრულების იმპლემენტაციის სტატუსი და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების მიმდინარეობა.</p> <p>2020 წლის 18 ივნისს შეხვედრა გაიმართა საქპატენტის თავმჯდომარესა და აშშ-ს განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) საქართველოს მისიის დირექტორს შორის. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ბოლო წლებში აშშ-ს მთავრობასთან ერთად გადადგმულმა ქმედითმა ნაბიჯებმა, კერძოდ, e-Governance პროექტის ფარგლებში დანერგილმა საქმის წარმოების ელექტრონულმა პროგრამამ, განაპირობა საქპატენტის შეუფერხებელი ფუნქციონირება კორონავირუსის (COVID - 19) პანდემიის</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>დროს. შეხვედრაზე მხრებმა ასევე განიხილეს ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო გეგმები.</p> <p>2020 წლის 22 ივნისს დისტანციურ რეჟიმში გაიმართა საქპატენტის თავმჯდომარისა და ევროპის საპატენტო უწყების (EPO) პრეზიდენტს შორის შეხვედრა, რომელზეც უწყებების ხელმძღვანელმა პირებმა, საქართველოს ევროპის საპატენტო ორგანიზაციაში გაწევრიანების პერსპექტივა განიხილეს. მხარებმა ასევე, განიხილეს ვალიდაციის შეთანხმების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საკითხები. EPO-ში გაწევრიანების შემთხვევაში საქართველოზე გავრცელდება ევროპის საპატენტო კონვენცია და შესაბამისად, ეროვნული საპატენტო კანონმდებლობა თანხვედრაში იქნება ევროპულ მიდგომებთან.</p> <p>2020 წლის 3 ივლისს გაიმართა შეხვედრა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) აკადემიის და საქპატენტის სასწავლო ცენტრის წარმომადგენლებს შორის. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში EUIPO-ს აკადემიას გააცნეს ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა შორისაა სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, სასწავლო-სამეცნიერო მასალების და მეთოდური სახელმძღვანელოების შემუშავება, ასევე, მიზნობრივი ჯგუფების იდენტიფიცირება და მათთვის უწყვეტი სწავლების ეფექტიანი სისტემის შექმნა. EUIPO-ს სასწავლო აკადემიის წარმომადგენლებმა გამოხატეს მზადყოფნა წვლილი შეიტანონ საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სწავლების სისტემის განვითარებაში. საქპატენტის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, EUIPO-</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>საკადემია მზად არის საკპატენტს გაუზიაროს თავისი ფუნქციონირების, სამიზნე ჯგუფებთან მუშაობის, სასწავლო მიმართულებების განსაზღვრის პრაქტიკა და ჩაერთოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა სასწავლო პროექტების დაგეგმვა-ორგანიზებასა და განხორციელებაში.</p> <p>ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (WIPO) ერთად დაგეგმილი კონფერენცია გადაიდო COVID – 19 პანდემიით გამოწვეული სიტუაციის გამო.</p> <p>2020 წლის 14 ივლისიდან, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) სასაქონლო ნიშნების საძიებო ინსტრუმენტში, TMClass-ში, საქონლის და მომსახურების 60 000-მდე ტერმინი ქართულ ენაზეა ხელმისაწვდომი. აღნიშნული ქართველ და უცხოელ განმცხადებელს მისცემს შესაძლებლობას ავტომატურ რეჟიმში მოიძიოს, თარგმნოს ქართულ ენაზე და ქართული ენიდან სხვა 44 ენაზე საქონლის და მომსახურების ნებისმიერი ტერმინი სასაქონლო ნიშნების განაცხადის წარსადგენად. HDB-ის ტერმინების ქართულ ენაზე თარგმნა და TMClass-ში განთავსება საკპატენტისა და EUIPO-ს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმისა და „ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტის ინტელექტუალური საკუთრების შესახებ (EUGIPP)“ ფარგლებში განხორციელდა.</p> <p>2020 წლის 16 ივლისს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ (WIPO), ინტელექტუალური საკუთრების უწყებების სასწავლო ცენტრებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, ორგანიზება გაუკეთა მრგვალ მაგიდას სახელწოდებით „სასწავლო ცენტრებს შორის საუკეთესო პრაქტიკის</p>

N	ასოციირების შესახებ შეთანხმების ან ასოციირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>გაცვლა“. შეხვედრას ესწრებოდნენ WIPO-ს წევრი ქვეყნების უწყებების წარმომადგენლები, სადაც საქპატენტის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელმა, წარადგინა საქპატენტის სასწავლო ცენტრის ახალი კონცეფცია - სასწავლო მიმართულებები და წარსული გამოცდილება. მსოფლიოში მოქმედი ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრების მიერ ერთობლივი პროექტების მხარდაჭერა ემსახურება WIPO-ს გლობალურ მიზნებს - ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლებასა და დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას.</p> <p>21-25 სექტემბერს ჰიბრიდულ რეჟიმში ჩატარდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) წევრი სახელმწიფოების რიგით 61-ე გენერალური ასამბლეა, რომელში მონაწილეობაც საქართველოს დელეგაციამ დისტანციურ რეჟიმში მიიღო. WIPO-ს გენერალური ასამბლეის მთავარი მიზანია წევრი სახელმწიფოების მონაწილეობით ერთობლივად განისაზღვროს WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკის მთავარი მიმართულება და პრიორიტეტები, განვლილი წლის პროგრესის შეჯამება და მომავალი სამოქმედო გეგმის დასახვა.</p> <p>2020 წლის 7 ოქტომბერს, WIPO-ს რიგით 61-ე გენერალური ასამბლეის ფარგლებში გაიმართა WIPO-ს აკადემიისა და საქპატენტის ხელმძღვანელი პირების შეხვედრა. შეხვედრაზე განხილულ იქნა არსებული და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები, ასევე, შეთანხმდა, რომ საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების განათლების ხარისხიანი სისტემის შექმნაში საქპატენტს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) აკადემია დაეხმარება. უკვე პროცესშია WIPO-ს ინტელექტუალური</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>საკუთრების სამართლის მაღალი საფეხურის დისტანციური სწავლების კურსის “სასაქონლო ნიშნები, გეოგრაფიული აღნიშვნები და დიზაინი (DL-302)” მასალის ქართულ ენაზე თარგმნა და ადაპტირება. ამასთან, 2020 წელს საქპატენტის თანამშრომლებმა დისტანციურ რეჟიმში მონაწილეობა მიიღეს WIPO-ს სხვადასხვა კომიტეტის შეხვედრებში (CDIP, SCCR, SCT, SCP).</p> <p>2020 წლის ოქტომბერში საქპატენტმა დაიწყო წინა ხაზის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, რომელიც მიზნად ისახავს საქპატენტის სერვისებზე მომხმარებელთა მომსახურების ეფექტიანობის გაზრდას, კონსულტაციისა და კომუნიკაციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას.</p> <p>2020 წლის 19 ოქტომბერს WIPO-ს 61-ე გენერალური ასამბლეის ფარგლებში საქპატენტისა და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) წარმომადგენლებს შორის გამართულ შეხვედრაზე გადაწყდა რომ უწყებების ერთობლივი პროექტის, EUGIPP-ის ფარგლებში მოხდება EUIPO-ს სასწავლო კურსის „ინტელექტუალური საკუთრება როგორც ღირებული ბიზნეს აქტივი“ ქართულ ენაზე ადაპტირება. კურსის მიზანია ბიზნესი გაეცნოს ინტელექტუალური საკუთრების არსს, კომპანიის არამატერიალური რესურსის დაცვის მექანიზმებსა და უფლებების კომერციალიზაციის მეთოდებს, რაც მათ დაეხმარება ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მიღწევაში.</p> <p>ამერიკის შეერთებული შტატების პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყების (USPTO) იურისტებმა და მოსამართლეებმა ქართველ კოლეგებს სასაქონლო ნიშნებისა და საპატენტო დავების მიმართულებით USPTO-ს პრაქტიკა გაუზიარეს. ვებინარები სამ სერიად გაიმართა 5</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ფარგლებში განხორციელდა.</p> <p>2020 წლის 15 სექტემბრიდან 17 ნოემბრის ჩათვლით დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) აკადემიისა და საქპატენტის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული „ტრენერთა ტრენინგის“ (TOT) პროგრამა, რომელიც გულისხმობს WIPO-ს აკადემიის ტრენერების მიერ გამოცდილების გაზიარებას, კონკრეტულად, დისტანციური პლატფორმების გამოყენებით ცოდნის ეფექტურად გადაცემას.</p> <p>ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტვინინგის პროექტის „საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების ეფექტური დაცვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის“ მმართველი კომიტეტი 2020 წლის დეკემბრის თვეში შეიკრიბა, რომელზეც მომდევნო 6 თვის სამოქმედო გეგმა და გასული პერიოდის (6 თვე) შესრულების ანგარიშები იქნა განხილული. მსოფლიოში არსებული პანდემიისა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამომდინარე გამოკვეთილი დამატებითი საჭიროებების გაჩენის მიზეზით პარტნიორებთან ერთად გადაწყდა პროექტის დამატებით 7 თვით გაგრძელება.</p> <p>2020 წლის დეკემბრის თვეში „ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტის (EUGIPP)“ ფარგლებში, საქპატენტისთვის ISO 9001:2015 სერტიფიკატის მოსაპოვებლად მუშაობა დაიწყო. აღნიშნული საკითხის</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>განსახილველად საქპატენტის თავმჯდომარე EUGIPP პროექტის ხელმძღვანელს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის (EUIPO) საერთაშორისო თანამშრომლობისა და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის წარმომადგენელს შეხვდა. EUGIPP-ს საქპატენტთან ერთად, EUIPO ახორციელებს და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების უწყების მართვის სისტემის გაუმჯობესება და მოდერნიზაცია პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.</p> <p>2020 წლის დეკემბრის თვეში საქპატენტის თანამშრომლებმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე ტრენინგი გაიარეს. ტრენინგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ უწყების ინიციატივითა და სახელმწიფო ინსპექტორის აპარატთან თანამშრომლობით ჩატარდა. სწავლება ორი დღის განმავლობაში დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა და მოიცავდა როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელ კანონმდებლობას, ასევე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პრაქტიკას.</p>
49.		ევროპის ინტელექტუალური საკუთრების ოფისთან (EUIPO), სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის გაიდლაინების მომზადებაზე მუშაობის დაწყება	საქპატენტის ადამიანური და ინსტიტუციონალური რესურსების გაძლიერება, რაც შესაძლებელს გახდის უფრო ეფექტურად შეასრულოს მისი ძირითადი ფუნქციები (სამრეწველო საკუთრების უფლებების და საავტორო უფლებების დაცვა).	პროექტით გათვალისწინებული გაიდლაინების რაოდენობის 30 %-ის მომზადება	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	<p>2020 წლის აპრილის თვეში „ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტის“ (EUGIPP) ფარგლებში დაიწყო მუშაობა დიზაინის სახელმძღვანელოს შექმნაზე და მომზადდა დიზაინების სახელმძღვანელოს პროექტი.</p> <p>2020 წლის 9 სექტემბერს EUGIPP პროექტის ფარგლებში ჩატარდა სემინარი, რომელიც საქპატენტის მიერ გამოქვეყნებული სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის პრაქტიკის დოკუმენტებს ეხებოდა. დოკუმენტის შესახებ ინფორმაციას გაეცნენ პატენტრწმუნებულები, ინტელექტუალური საკუთრების დარგში მოქმედი იურისტები და საქპატენტის</p>

N	ასოციირების შესახებ შეთანხმების ან ასოციირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						თანამშრომლები. სემინარის მიზანი იყო, განმცხადებლების, ექსპერტებისა და ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირებისთვის გამჭვირვალობის, იურიდიული სიცხადისა და პროგნოზირების გაზრდას, სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის განაცხადების ექსპერტიზასთან მიმართებაში.
50.	<p>ასოციირების დღის წესრიგი, 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, ინტელექტუალური საკუთრების უფლება: ინტელექტუალური საკუთრებისა და სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება და უფლების მფლობელებთან ეფექტური დიალოგის უზრუნველყოფა.</p>	<p>ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით</p>	<p>ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება</p>	<p>მინიმუმ 200 გადამზადებული პირი; ჩატარებული ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების რაოდენობა</p>	<p>სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“</p>	<p>2020 წლის თებერვლის თვეში ჩატარდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) აკადემიის დისტანციური სწავლების ზოგადი კურსი (DL101GE), რომლის გავლა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ქართულ ენაზე შეუძლია. აღნიშნული კურსის ქართულენოვანი ვერსია შემუშავდა საქპატენტის მიერ, WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების აკადემიასთან თანამშრომლობის ფარგლებში. აღნიშნული კურსის მიზანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.</p> <p>2020 წლის 27 თებერვალს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საჭიროებას გაეცნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრში შეკრებილი სტუდენტები, რომლებიც მონაწილეობენ ცენტრის პრე-აქსელერაციის პროგრამაში JET29. აღნიშნული პროგრამა პირველია ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრისთვის, რომლის მიზანია სტუდენტები დააინტერესოს და ხელი შეუწყოს ინოვაციურ საქმიანობას. საქპატენტის წარმომადგენელმა სტარტაპერებს გააცნო ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა და მიაწოდა ინფორმაცია საპატენტო სისტემის, საპატენტო ძიების, საქპატენტის სასწავლო ცენტრის კურსების და საქპატენტის სხვა სერვისების შესახებ.</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>2020 წლის 2 ივლისს მოზარდებში ინტელექტუალური საკუთრების მიმართულებით ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქპატენტის სასწავლო ცენტრმა ჩაატარა დისტანციური ლექცია, სადაც „ჯუნორ ეზიმენტ საქართველოს“ პროგრამის „იყავი მეწარმე“ მონაწილეები გაეცნენ ინტელექტუალური საკუთრების როლს და მისი დაცვის მექანიზმებს სამეწარმეო საქმიანობაში. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით მიმდინარე პროგრამის „იყავი მეწარმე“ მიზანია, სკოლის მაღალი კლასების მოსწავლეებისთვის ბიზნესგეგმის ძირითადი კომპონენტების შესწავლით, სამეწარმეო ინიციატივების ხელშეწყობა და წახალისება. ინტელექტუალური საკუთრების, როგორც ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტია.</p> <p>2020 წლის 13 ივლისს, ევროპის სამართლის სტუდენტთა ასოციაციის - ელსა საქართველოს (ELSA Georgia) და საქპატენტის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის რიგით მე-5 საზაფხულო სკოლა გაიხსნა. ყოველწლიური ღონისძიება, რომლის მიზანია ევროპელი და ქართველი სტუდენტების ცნობიერების ამაღლება ინტელექტუალური საკუთრების დარგში, კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პირობებში დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა. ოთხი დღის განმავლობაში 21 სხვადასხვა ევროპული ქვეყნის 50-მდე სტუდენტმა მიიღო ამომწურავი ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების სისტემასა და მისი დაცვის მექანიზმებზე.</p> <p>2020 წლის 15-18 სექტემბერს დისტანციურ რეჟიმში გაიმართა საერთაშორისო სასწავლო კურსი „გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“.</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>კურსს, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) ნაწილია, მეოთხე წელია საქპატენტი უწევს ადმინისტრირებას. ინფორმაციას გეოგრაფიული აღნიშვნების სამართლებრივი დაცვის მექანიზმების, დაცვის სხვადასხვა სამართლებრივი სისტემებისა და საერთაშორისო პრაქტიკის, მათ შორის საქართველოს გამოცდილების შესახებ, 17 ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების უწყებებისა და შესაბამისი სამინისტროების ექსპერტები გაეცნენ. კურსი მიზანი იყო ინტელექტუალური საკუთრების სფეროს სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება. საქპატენტი არის პირველი რეგიონში, რომელიც ადმინისტრირებას უწევს WIPO-ს აკადემიის PDP-ის კურსს და ყოველ წელს მალა შეფასებას იმსახურებს.</p> <p>2020 წლის 29 სექტემბერს გაიმართა პროექტის „კრეატიულობა და ინტელექტუალური საკუთრება საქართველოს სკოლებში“ პრეზენტაცია, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტის (EUGIPP) ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. კრეატიულობისა და ინტელექტუალური საკუთრების ცნებების სწავლებისთვის სათანადო უნარ-ჩვევების მისაღებად, თბილისის, რუსთავის და გორის 6 საჯარო სკოლის 12 მასწავლებელმა გაიარა ტრენინგი პროექტი ემსახურება ინტელექტუალური საკუთრების სისტემის მნიშვნელობის გააზრებას, ცნობიერების ამაღლების მიმართულებით პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებსა და ფართო საზოგადოების კონკრეტულ სეგმენტებს შორის.</p> <p>20 აგვისტოს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების უწყების</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>წარმომადგენლებმა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანში გამართულ შეხვედრაზე ადგილობრივ მოსახლეობასთან განიხილეს ღვინის “მარანის ქისის”, როგორც ახალი ქართული ადგილწარმოშობის დასახელებად რეგისტრაციის შესაძლებლობა და გააცნეს ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის არსი და მნიშვნელობა, ასევე - სახელმწიფო რეესტრში შემავალი ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების წარმოების, ექსპორტის სტატისტიკური მონაცემები. შეხვედრას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ ღვინის მწარმოებლები, მევენახეები.</p> <p>საქპატენტის სასწავლო ცენტრმა საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების სერია დაიწყო. პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან. 2020 წლის 29 ოქტომბერს, დისტანციურ რეჟიმში, მათ ჩაუტარდათ ტრენინგი საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე.</p> <p>საქპატენტის სასწავლო ცენტრმა საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების სერიის მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა იმ ახალგაზრდა მეწარმეებისათვის, რომლებიც საქართველოს რეგიონებში სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების მიმართულებით მუშაობენ. შეხვედრა დისტანციურ რეჟიმში 5 და 6 ნოემბერს გაიმართა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) და ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „EU4YOUTH – საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემების განვითარება მწვანე ზრდისთვის“ ფარგლებში.</p> <p>2020 წლის ნოემბრის თვეში, ყოველწლიური კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“ მეათედ გაიმართა. მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“, რომლის მიზანია ინოვაციებისა და ტექნიკის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება, შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, 2020 წელს დისტანციურ რეჟიმში გაიმართა.</p> <p>დეკემბრის თვეში ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტის (EUGIPP) ფარგლებში, კრეატიულობისა და ინტელექტუალური საკუთრების ცნებების სწავლებისთვის სათანადო უნარ-ჩვევების მისაღებად, თბილისის, რუსთავისა და გორის 6 საჯარო სკოლის 12 მასწავლებლისთვის პირველი ტრენინგი დისტანციურად ჩატარდა. პროექტის გეგმის თანახმად, თავდაპირველად განხორციელდება საპილოტე ვერსია – შერჩეულ სკოლებში ჩატარდება კრეატიულობისა და ინტელექტუალური საკუთრების გაკვეთილები. საპილოტე ვერსია მიზნად ისახავს კრეატიულობისა და ინტელექტუალური საკუთრების საკითხების ინტეგრირებას სამოქალაქო განათლების სისტემაში.</p>
51.		საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტებისა და ფლაერების დაბეჭდვა	ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	დაახლოებით, 15000 ერთეულით გამოცემული საინფორმაციო ხასიათის მასალები	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	<p>მომზადდა და გამოიცა:</p> <p>პრაქტიკის დოკუმენტი CP3 _ 16 გვ. 155ც.</p> <p>პრაქტიკის დოკუმენტი CP4 - 16 გვ.155ც.</p> <p>პრაქტიკის დოკუმენტი CP5 _ 21 გვ. 155ც.</p> <p>პრაქტიკის დოკუმენტი CP6 _ 32 გვ. - 155ც.</p> <p>საქპატენტის წლიური ანგარიში 2019 (ელ. ვერსია)</p> <p>დარგობრივი ბროშურები - სამრეწველო ნიმუშების (დიზაინი) საერთაშორისო რეგისტრაციის ჰააგის შეთანხმების აქტები; საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება;</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>ბერნის კონვენცია; პარიზის კონვენცია; ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან არსებული ოქმი; ნიცის შეთანხმება; ვენის შეთანხმება; რომის კონვენცია; საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნა; ინსტრუქცია დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე; საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ; სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენა; საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ; საქართველოს საპატენტო კანონი; გამოგონების და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმება; საქ. კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ. გეოგრაფიული აღნიშვნების ე.წ. პასპორტები (მოკლე სპეციფიკაცია) – 200ც.</p> <p>ასევე მომზადდა და გამოიცა დარგობრივი ბროშურები: „გამოგონება და სასარგებლო მოდელი“ – გვ.16., 450 ცალი; „სასაქონლო ნიშანი“ – გვ.16., 400 ცალი; „გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება“ – გვ.16., 600 ცალი; „თქვენი ნიშნების დაცვა საზღვარგარეთ“ – გვ.12., 400 ცალი „სასაქონლო ნიშანი თქვენი ბიზნესის წარმატებისთვის“ – გვ.8., 500 ცალი.</p>
52.	<p>ასოცირების დღის წესრიგი, 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, ინტელექტუალური საკუთრების უფლება: კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის განხორციელებული</p>	<p>ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება ცნობიერების ამაღლების მიზნით</p>	<p>კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაზრდა; ცნობიერების ამაღლება.</p>	<p>ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის ჩატარებული სამუშაო შეხვედრების და ტრენინგების რაოდენობა</p>	<p>სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“</p>	<p>2020 წლის 28 მაისს სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო ასოციაციის (INTA) და საქპატენტის მიერ ორგანიზებული ვირტუალური მრგვალი მაგიდა გაიმართა. დიალოგი მიემდგვნა კორონავირუსის (Covid-19) გავრცელების პერიოდში საქართველოში კონტრაფაქციის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებების შედეგებსა და პერსპექტივას. მრგვალი მაგიდის ფარგლებში INTA-ს წევრ მსხვილ კომპანიებს, ფინანსთა სამინისტროს</p>

N	ასოციირების შესახებ შეთანხმების ან ასოციირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	<p>ლონისძიებების თაობაზე სტატისტიკური მონაცემების წარმოება და მხარეთა შორის გაზიარება.</p>					<p>შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს პატენტრწმუნებულთა ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელმა პირებმა გააცნეს ის ეფექტური მექანიზმები, რომელიც გამოიყენება საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიმართულებით. კერძოდ, უცხოურმა კომპანიებმა მიიღეს ინფორმაცია საქართველოში ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებისა და ბაზარზე მისი დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების, ასევე, ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების სისტემის გამართული მუშაობის შესახებ. INTA-ს ტრადიციული მრგვალი მაგიდა ემსახურება სასაქონლო ნიშნების თემაზე აქტუალური ინფორმაციის გაზიარებას სფეროს პროფესიონალებს შორის.</p> <p>2020 წლის 15 ივლისს, საქართველოს პარლამენტში საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა იმსჯელეს საქართველოში კრეატიული ინდუსტრიების განვითარების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევაზე - მეკობრეობის პრობლემაზე. სექტორებს შორის დიალოგის ფორმატი ორგანიზებული იყო, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის (The USAID Economic Security Program) ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის დეპუტატთა მხარდაჭერით. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსია და განხილულ იქნა ყველა ის საკითხი, რომელიც დაისვა ინდუსტრიის წარმომადგენლების მიერ. საქპატენტმა ამასთანავე წარადგინა „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტი, რომელიც საჭიროებს კერძო სექტორთან განხილვას. კანონმდებლობის დახვეწა უკავშირდება ინტერნეტ სერვის პროვაიდერთა პასუხისმგებლობის სისტემის</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
კონკურენცია						
53.	<p>ასოცირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: მხარეები ითანამშრომლებენ ასოცირების შესახებ შეთანხმების კონკურენციის თავისა და მასთან დაკავშირებული რეფორმების იმპლემენტაციაზე. თანამშრომლობა შეეხება საქართველოს ინსტიტუციური ჩარჩოსა და შესაბამისი ადმინისტრაციული შესაძლებლობების მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაციის გარანტიების უზრუნველყოფას, ისევე როგორც დიალოგის გაღრმავებას კონკურენციის სფეროსა და მასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში საკანონმდებლო აღსრულების თაობაზე</p>	<p>კონკურენციის პოლიტიკის ადვოკატირება, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებისა თვის ინფორმაციული შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება.</p>	<p>სამიზნე ჯგუფებში გაზრდილი ცნობიერება კონკურენციის დარგში.</p>	<p>ჩატარებული შეხვედრების/სემინარების/საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა.</p>	<p>სსიპ კონკურენციის სააგენტო</p>	<p>2020 წლის განმავლობაში ჩატარდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების 9 ღონისძიება. ღონისძიებების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ მარეგულირებელი სექტორის (ეროვნული ბანკი, სემეკი), ბიზნეს სექტორის, ადვოკატთა ასოციაციის, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოსამართლეები და აკადემიური სექტორი.</p> <p>იანვარში გაიმართა სამი წლის განმავლობაში საქართველოს კონკურენციის სააგენტოში მიმდინარე ევროკავშირის პროექტის, „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“ დახურვის ღონისძიება და შეჯამება. ღონისძიებაზე ასევე მოხდა პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის პრეზენტაცია, რაც ხელს შეუწყობს კონკურენციის მიმართულებით ერთგვაროვანი ტერმინებისა და ცნებების დამკვიდრებას. გარდა განმარტებითი ლექსიკონისა, გაიმართა გზამკვლევი დოკუმენტის - „სასამართლო კონტროლი კონკურენციის სამართლის სფეროში“ - პრეზენტაცია, რომელიც განსაკუთრებით დაეხმარება მოსამართლეებს კონკურენციის სამართლის სფეროში საქმეთა განხილვის პროცესში.</p> <p>კონკურენციის სააგენტომ შეიმუშავა ე.წ. გზამკვლევი დოკუმენტი „კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა კონკურენციის-სამართლებრივ წარმოებაში“. დოკუმენტის</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>მიზანია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია კონკურენციის-სამართლებრივ წარმოებაში კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასთან და შესაბამის პროცედურებთან დაკავშირებით.</p> <p>შეხვედრები გაიმართა მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და აკადემიური სექტორის წარმომადგენლებთან, რომლებიც გაეცნენ კონკურენციის მიმართულებით არსებულ სიახლეებს, დაგეგმილ საკანონმდებლო ცვლილებებსა და გამოწვევებს.</p> <p>2020 წელს კონკურენციის კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, სააგენტოს თანამშრომლების მიერ, საინფორმაციო შეხვედრები (ონლაინ რეჟიმში) ჩატარდა ეროვნული ბანკისა და სემეკის თანამშრომლებისათვის, აგრეთვე ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მოქმედი კომპანიებისათვის.</p> <p>კოვიდ-19-ის გავრცელებისა და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეგეგმა და განეხორციელებინა სხვა გარე აქტივობები საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად.</p>
54.		კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებისთვის ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზება კონკურენციის პოლიტიკის სხვადასხვა თემაზე.	გადამზადებული და კვალიფიკაცია ამაღლებული თანამშრომლები.	ჩატარებული ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვა ღონისძიებების რაოდენობა.	სსიპ კონკურენციის სააგენტო	<p>2020 წლის განმავლობაში, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, განხორციელდა 17 ღონისძიება. კერძოდ, GIZ-ის ფინანსური მხარდაჭერით სააგენტოს თანამშრომლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ფინეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის უწყებაში, სადაც ისინი გაეცნენ კოლეგა უწყების მიმდინარე პრაქტიკასა და გამოწვევებს.</p> <p>სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და</p>

N	ასოციირების შესახებ შეთანხმების ან ასოციირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>განვითარების ორგანიზაციის (OECD) უნგრეთის კონკურენციის რეგიონალური ცენტრის (OECD-GVH RCC) მიერ ორგანიზებულ სემინარებში.</p> <p>მსოფლიო პანდემიის გამო შექმნილი მდგომარეობის გამო, სააგენტოს თანამშრომლებმა ონლაინ მიიღეს მონაწილეობა UNCTAD-ის, OECD-ის, OECD-GVH RCC-ის, ICN-ისა და თურქეთის კონკურენციის უწყების მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში. ღონისძიებები ეხებოდა კოვიდ-19-ის პირობებში კონკურენციის კუთხით არსებულ გამოწვევებს, ამ პირობებში საერთაშორისო თანამშრომლობის როლს, კონკურენციის კანონის აღსრულებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.</p>
ვაჭრობა და მდგრადი განვითარება						
55.	<p>ასოციირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: მხარეები გააგრძელებენ დიალოგს ასოციირების შესახებ შეთანხმების ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების თავში</p>	<p>კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების ახალ ტყის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა</p>	<p>ტყის მდგრადი მართვის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები</p>	<p>ახალი ტყის კოდექსის შესაბამისად შემუშავებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>	<p>ტყის კოდექსის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებების საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფები. ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებზე მუშაობა, რომლებიც მთავრობას წარედგინება 2021 წლის მესამე კვარტლამდე.</p>
56.	<p>განხილული საკითხების თაობაზე, კერძოდ, ყველა საერთაშორისო ფუნდამენტალური შრომითი სტანდარტის შესაბამისი სათანადო შრომითი ინსპექციის სისტემის განვითარების თაობაზე ინფორმაციის გაცვლასთან, შრომის კოდექსის იმპლემენტაციასთან, იმ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი</p>	<p>ტყისა და მიწათსარგებლობის ინფორმაციისა და გადაწყვეტილებების მხარდაჭერი სისტემის გაუმჯობესება</p>	<p>ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის ცენტრალიზებული სისტემის საცდელი ვერსია ხელმისაწვდომია ტყის მართვასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი უწყებებისთვის</p>	<p>შემუშავებული ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემის ძირითადი მოდულები</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>	<p>"Global Forest Watch" (GFW) პროექტის ფარგლებში, ტყისა და მიწათსარგებლობის ინფორმაციისა და გადაწყვეტილებების მხარდაჭერი სისტემის გაუმჯობესებისთვის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემუშავდა საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი (atlas.mepa.gov.ge), რომელიც წარმოადგენს სივრცულ მონაცემებზე წვდომისა და ინფორმაციის მიღების მთავარ წერტილს.</p> <p>აგრეთვე, ტყის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის შემუშავებისთვის,</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	შეთანხმებების იმპლემენტაციასთან, რომლის მხარეც ერთ-ერთი მათგანია, და მდგრადი განვითარებიდან გამომდინარე მათი ვალდებულებების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, აგრეთვე გაიზიარებენ და გაცვლიან საუკეთესო/მოწინავე პრაქტიკას აღნიშნული თავით განსაზღვრული ვალდებულებების					შემენილია 1,300,000 ლარის აღჭურვილობა. გარდა ამისა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსიპ - ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან ერთად ასრულებს მუშაობას ტყის სავსე აღრიცხვის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავების პროგრამაზე, რომელიც ინტეგრირებული იქნება არსებული მერქნული რესურსის მართვის ელექტრონულ სისტემაში. ეს უკანასკნელი კი გახდება ტყის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ნაწილი. აღნიშნულ სისტემაში მიღებული გარკვეული სახის ინფორმაცია აისახება საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასში.
57.	სამომავლო შესრულების თაობაზე დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის გათვალისწინებით	თანამშრომლობა GFC-თან და ევროკავშირთან თევზჭერის ელექტრონული მონიტორინგის სისტემის განვითარებისა და უკანონო, ალურცხავ და დაურეგულირებელ თევზჭერასთან (IUU) ბრძოლის მიზნით	არალეგალურ, არადეკლარირებულ და დაურეგულირებელ (IUU) თევზჭერასთან ბრძოლის ეფექტურობის ამაღლება	ქვეყნის შიგნით სარეწაო თევზჭერი გემების ელექტრონული მონიტორინგის სისტემის შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვასთან დაკავშირებით იდენტიფიცირებულია განსახორციელებელი ქმედებები არალეგალური, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერის ბრძოლისათვის საჭიროებები იდენტიფიცირებულია და დაგეგმილია სამომავლო	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 2020 წლის 1-ლი ივლისიდან გადაუდებელი შესყიდვით 2 თვიანი მონიტორინგის სისტემასთან წვდომა და მის გამოყენებაზე ტრენინგების ჩატარება) შეისყიდა ფრანგული კომპანიისაგან (CLS), რომელსაც 1986 წლიდან სატელიტური ელექტრონული მონიტორინგის სისტემის მეშვეობით თევზჭერის მონაცემების შეგროვებისა და კონტროლის გამოცდილება გააჩნია. ამავდროულად, მისი მომსახურება არის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისი და თანამშრომლობს არამხოლოდ ქვეყნებთან (ევროკავშირის წევრ და სხვა ქვეყნებთან), არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ივლისის დასაწყისში CLS-ის მიერ დეპარტამენტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი სატელიტური ელექტრონული მონიტორინგის სისტემის მუშაობის სპეციფიკაციებზე. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 2020 წლის 1-ლი სექტემბრიდან სატენდერო ხელშეკრულებით შეიძინა საერთაშორისო თევზჭერაში

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
				ქმედებები		<p>ჩართული თევზსაჭერი გემების სატელიტური მონიტორინგის სისტემაზე წვდომა. (VMS, Vessel Monitoring System) აღნიშნული სატენდერო ხელშეკრულება ძალაშია 2020 წლის 1-ლი სექტემბრიდან - 2020 წლის 31 დეკემბრამდე. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ახორციელებს საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი თევზსაჭერი გემების კონტროლს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N423 დადგენილების „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტი“ მიხედვით.</p> <p>გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი აგრძელებს საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემების კონტროლს არალეგალური არადეკლარირებული და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერის მიმართულებით. დეპარტამენტი ზემოაღნიშნული მონიტორინგის განსახორციელებლად იყენებს ევროკავშირის მიერ სერტიფიცირებულ VMS (Vessel Monitoring System) თევზსაჭერი გემების მონიტორინგის სისტემას. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი აგრძელებს არალეგალური არადეკლარირებული და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერის საერთაშორისო მონიტორინგის სტანდარტების შესრულებას და ეროვნული სტანდარტების დახვეწას.</p>
58.	<p>ასოცირების შესახებ შეთანხმება; მუხლი 230; პარაგრაფი 4: მხარეები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას, მიაღწიონ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისა (UNFCCC) და კიოტოს</p>	<p>ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) საბოლოო ვერსიის შემუშავება და დამტკიცება</p>	<p>კლიმატის ცვლილების გაეროს ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) პარიზის შეთანხმების ფარგლებში NDC-თან დაკავშირებული ვალდებულების შესრულება</p>	<p>მთავრობის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი;</p> <p>კონვენციის სისტემაში დარეგისტრირებული დოკუმენტი;</p>	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p>	<p>2020 წელს შემუშავდა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი. ჩატარდა დოკუმენტის საჯარო განხილვა - ონლაინ-ფორმატში - რის შემდეგაც შეხვედრაზე მიღებული კომენტარები და წინადადებები ასახულ იქნა დოკუმენტში. დოკუმენტის დამტკიცება საქართველოს მთავრობის მიერ იგეგმება 2021 წლის პირველ კვარტალში.</p>

N	ასოციირების შესახებ შეთანხმების ან ასოციირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
59.	პროტოკოლის ძირითად მიზანს. ისინი ვალდებულებას იღებენ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) ფარგლებში და მასთან დაკავშირებული შეთანხმებებისა და გადაწყვეტილებების ფარგლებში ითანამშრომლონ კლიმატის ცვლილების საერთაშორისო ჩარჩოს სამომავლო განვითარებაზე.	ენერგეტიკის, შენობების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, მრეწველობის, ტყისა და ნარჩენების სექტორებისათვის კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის 2021-2030 (CAP) საბოლოო ვერსიის მომზადება	UNFCCC-ის პარიზის შეთანხმების ფარგლებში NDC-ის განხორციელების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულება	მომზადებულია CAP-ის საბოლოო ვერსია ყველა სექტორისათვის	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	დამტკიცების შემდეგ დოკუმენტი გაიგზავნება კლიმატის ცვლილების გაეროს ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) სამდივნოში. 2020 წელს შემუშავდა კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ჩატარდა დოკუმენტის საჯარო განხილვა - ონლაინ-ფორმატში - რის შემდეგაც შეხვედრაზე მიღებული კომენტარები და წინადადებები ასახულ იქნა დოკუმენტში. დოკუმენტის დამტკიცება საქართველოს მთავრობის მიერ იგეგმება 2021 წლის პირველ კვარტალში.
60.		კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი (UNFCCC) საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინების (FNC) ადაპტაციის, შერბილების, ინვენტარიზაციისა და მხარდაჭერის თავების შემუშავება	UNFCCC-ის ფარგლებში FNC-თან დაკავშირებული ვალდებულების შესრულება	FNC-ის ადაპტაციის, შერბილების, ინვენტარიზაციისა და მხარდაჭერის თავები მომზადებულია	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	შემუშავებულია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ მეოთხე ეროვნული შეტყობინების სამუშაო ვერსია (მათ შორის ადაპტაციის, შერბილების, ინვენტარიზაციისა და მხარდაჭერის თავები). დოკუმენტი ითარგმნა ინგლისურ ენაზე.
61.	ასოციირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: მხარეები გააგრძელებენ დიალოგს ასოციირების შესახებ შეთანხმების ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების თავში განხილული საკითხების თაობაზე, კერძოდ, ყველა საერთაშორისო ფუნდამენტალური	დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ინფორმირება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესების შესახებ	გაზრდილი ცნობიერება დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შორის	საინფორმაციო შეხვედრებისა და გაწეული კონსულტაციების რაოდენობა	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შრომის ინსპექციის შექმნის მიზნით საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 29 სექტემბერს მიიღო კანონი „შრომის ინსპექციის შესახებ“, რომლის მიხედვითაც 2021 წლის 1 იანვრიდან ჩამოყალიბდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი შრომის ინსპექციის სამსახური. ამავდროულად, შრომითი სამართლის რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“, რომლის შედეგად შრომის

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
	<p>შრომითი სტანდარტის შესაბამისი სათანადო შრომითი ინსპექციის სისტემის განვითარების თაობაზე ინფორმაციის გაცვლასთან, შრომის კოდექსის იმპლემენტაციასთან, იმ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების იმპლემენტაციასთან, რომლის მხარეც ერთ-ერთი მათგანია, და მდგრადი განვითარებიდან გამომდინარე მათი ვალდებულებების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, აგრეთვე გაიზიარებენ და გაცვლიან საუკეთესო/მოწინავე პრაქტიკას აღნიშნული თავით განსაზღვრული ვალდებულებების სამომავლო შესრულების თაობაზე დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის გათვალისწინებით</p>					<p>კოდექსის აღსრულებაზე ზედამხედველობა დაეკისრა შრომის ინსპექციის სამსახურს. ამ ცვლილებებით საქართველოში შრომის პირობებზე სრულმასშტაბიანი ინსპექტირების მექანიზმი ამოქმედდება, რომელიც მოიცავს როგორც შრომის უფლებებზე, ასევე შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობას.</p> <p>შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ნორმების აღსრულებაზე ზედამხედველობა განახორციელა 169 ობიექტზე, რომლის დროსაც განხორციელდა ბიზნეს სექტორის ინფორმირება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესების შესახებ. გარდა ამისა, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პარალელურად შემუშავდა სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით 39 რეკომენდაცია (მათგან 1 ზოგადი და 38 სექტორული) და აღნიშნული მიმართულებით ბიზნესის ცნობიერების ამაღლების მიზნით, 30-მდე სექტორული ბიზნეს ასოციაციისა და უშუალოდ კერძო სექტორის 1500-მდე წარმომადგენელთან შედგა სამუშაო-საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა. რეკომენდაციების აღსრულების ხელშეწყობის მიმართულებით მომზადდა 6 ვიდეო ინსტრუქცია, რომელიც მასმედიისა და სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელდა მთელი საქართველოს მასშტაბით. ცნობიერების ამაღლების მიმართულებით შემუშავდა პოსტერები, ბუკლეტები, რომლის გავრცელება ხორციელდება ინსპექტირებისა თუ საინფორმაციო შეხვედრების დროს. გარდა ამისა, Covid-19 რეკომენდაციების გაცნობისა და იმპლემენტაციის მიზნით, შრომის ინსპექციის, შემოსავლების სამსახურის, სურსათის ეროვნული სააგენტოს,</p>

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
						<p>მუნიციპალური საზედამბედველო სამსახურებისა და საპატრულო პოლიციის, ასევე კრიმინალური და ფინანსური პოლიციის შესაბამისი დეპარტამენტების ჩართულობით ცნობიერების ამაღლების მიმართულებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 67275 აქტივობა.</p> <p>შრომის უსაფრთხოებაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამშენებლო სექტორისთვის GIZ-ის მხარდაჭერით მომზადდა 7 ვიდეო ინსტრუქცია, ასევე დაიწყო მუშაობა პუბლიკაციაზე „შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სექტორში“. ILO-ს მხარდაჭერით კი მზადების პროცესშია 11 ვიდეორგოლი, მათ შორის სექტორულ და უშუალოდ საფრთხეების მიმართულებით.</p>
62.	დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა შრომის შესახებ	დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა შრომის შესახებ	საწარმოებში ბავშვთა შრომის გამოყენების შემცირება	ბავშვთა შრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	<p>საანგარიშო პერიოდში, მანდატის ფარგლებში, რომელიც მოიცავს სამუშაო ადგილზე შრომის პირობების ინსპექტირებას, იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის N112 დადგენილებით, ასევე 2020 წლის 1 აპრილიდან სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების აღსრულებას, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უშუალო ზედამხედველობითა და კოორდინაციით სრულიად საქართველოს მასშტაბით განხორციელებული ინსპექტირებების ფარგლებში, განხორციელდა 21158 ინსპექტირება, რომლის დროსაც მიმდინარეობდა ბავშვთა შრომის შესახებ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება. აღსანიშნავია, რომ განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად ბავშვთა შრომის ნიშნები არ გამოვლენილა.</p>

N	ასოციირების შესახებ შეთანხმების ან ასოციირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
63.		სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფუნქციონირება	გამლიერებულია სოციალური პარტნიორობა და სოციალური დიალოგი;	კომისიის შეხვედრების რაოდენობა	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია	საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამუშაო ჯგუფის 2 შეხვედრა (ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გამო). 2020 წლის 9 ივლისს ჩატარდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომა. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, დამტკიცდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მომდევნო 2 წლის განმავლობაში კომისიისა და სამუშაო ჯგუფის მიერ განსახილველ საკითხებს მოიცავს. გარდა ამისა, კომისიამ სხდომაზე განიხილა, მოიწონა და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა კოლექტიური შრომითი დავების მედიატორთა რეესტრი.
გამჭვირვალობა						
64.	ასოციირების დღის წესრიგი; 2.5 ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: ვაჭრობასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებისას, გამჭვირვალობის ვალდებულებების იმპლემენტაციისთვის მომზადება და ამ კუთხით, საჭირო მექანიზმების ამუშავების შესაძლებლობის განხილვა	DCFTA-ის შესახებ ვებ-გვერდის შემდგომი განვითარება	DCFTA-ის შესახებ საზოგადოების გაზრდილი ინფორმირებულობა და ამაღლებული ცნობიერება	ვებგვერდის ვიზიტორთა, გამოქვეყნებული საკანონმდებლო აქტების პროექტებისა და შემოსულ შეკითხვებზე გაწეული კონსულტაციების რაოდენობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	პროექტის „ასოციირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში - II ფაზა“ მხარდაჭერით მიმდინარეობს ვებგვერდის www.dcfta.gov.ge განახლება. მუდმივად მიმდინარეობს აღნიშნულ ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება, შენიშვნებისთვის გასაჯაროვდა საკანონმდებლო აქტების პროექტები სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ნორმების მიმართულებით. 2020 წელს წინა წელთან შედარებით 16%-ით გაიზარდა ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობა და 23,277 შეადგინა. საქართველოს გარდა, ვებგვერდს ასევე ხშირად სტუმრობდნენ აშშ-დან, გერმანიიდან, რუსეთიდან, ჩინეთიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.
65.		DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება	DCFTA-ის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების,	გამართული შეხვედრების რაოდენობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2020 წლის 21 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით DCFTA-ის საკონსულტაციო ჯგუფის მერვე შეხვედრა გაიმართა ონლაინ რეჟიმში. შეხვედრის

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
			ბიზნესის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა და ინფორმირებულობის გაზრდა			მთავარი თემა გახლდათ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებული DCFTA-ის განხორციელების საშუალოვადიანი 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი. შეხვედრამდე გეგმის პროექტი გაზიარებულ იქნა ჯგუფის წევრებთან, შეხვედრის ფარგლებში კი გეგმის პრეზენტაციის შემდეგ ჯგუფის წევრების მიერ წარმოდგენილ წინადადებებსა და შენიშვნებზე გაიმართა კონსულტაციები.
66.		DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე თემატური შეხვედრები ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების, მედიისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან	DCFTA-ის შესახებ საზოგადოების გაზრდილი ინფორმირებულობა და ამაღლებული ცნობიერება	გამართული შეხვედრების რაოდენობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მიმდინარე წლის 8-9 თებერვალს, კახეთში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერითა და ევროკავშირის პროექტის „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა - II ფაზა“ ორგანიზებით მედიის წარმომადგენლებისთვის DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში შეთანხმების ნორმების დანერგვის მიმართულებით მიღწეულ პროგრესზე, განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებზე ისაუბრეს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა. ასევე, მედიის წარმომადგენლებს ევროკავშირთან ვაჭრობის წარმატებულ მაგალითებზე პრეზენტაციები გაუკეთეს ევროკავშირში ექსპორტიორი კომპანიების ხელმძღვანელებმა.
67.		DCFTA-ის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ბეჭდური მასალების მომზადება და გამოცემა	ამაღლებულია საზოგადოებრივი ცნობიერება DCFTA-ის განხორციელების მიმდინარე პროცესის შესახებ	გამოცემული ბეჭდური მასალების რაოდენობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	რეგიონალური შეხვედრები, სადაც უნდა მომხდარიყო აღნიშნული ბეჭდური მასალების გავრცელება არ განხორციელებულა COVID-19-ის პანდემიის გამო, შესაბამისად ბეჭდური მასალები არ გამოცემულა.
DCFTA-ის კოორდინაცია						
68.	ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების კოორდინაცია	DCFTA-ის განხორციელების უწყებათაშორისი ქვეკომისიის შეხვედრების ორგანიზება	DCFTA-ის განმახორციელებელ უწყებებს შორის გაუმჯობესებული კოორდინაცია და DCFTA-ს	გამართული შეხვედრების რაოდენობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2020 წლის 31 ივლისსა და პირველ აგვისტოს გაიმართა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების საკოორდინაციო უწყებათაშორისი ქვეკომისიის მეთორმეტე სხდომა. სხდომაზე

N	ასოცირების შესახებ შეთანხმების ან ასოცირების დღის წესრიგის მუხლი	დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი/ თანაპასუხისმგებელი უწყება	შესრულების ანგარიში
			ვალდებულებების ეფექტური და დროული შესრულების უზრუნველყოფა			განხილულ იქნა DCFTA-ს განხორციელების 2020 წლის 6 თვის შესრულების მდგომარეობა და მომზადდა DCFTA-ს განხორციელების საშუალოვადიანი (2021-2023) სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსია.
69.		DCFTA-ის განხორციელების საშუალოვადიანი (2021-2023 წწ.) გეგმის შემუშავება და მიღება	DCFTA-ის განმახორციელებელ უწყებებს შორის გაუმჯობესებული კოორდინაცია და DCFTA-ს ვალდებულებების ეფექტური და დროული შესრულების უზრუნველყოფა	მიღებულია DCFTA-ის განხორციელების საშუალოვადიანი გეგმა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	DCFTA-ის განხორციელების საშუალოვადიანი (2021-2023 წწ.) გეგმა დამტკიცდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით 2020 წლის 30 დეკემბერს.